5139
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

კვირა
9 ივნისი
1940 წ.
№ 131 (5832)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაბედული, ღრმა-იდეური ბოლშევიკური აგიტაციისათვის

არცერთი პოლიტიკური პარტია არასოდეს არ სარგებლობდა ისე მაღალი ნდობითა და ავტორიტეტით მშრომელთა თვალში, როგორც ლენინ-სტალინის პარტია. ეს იმით აიხსნება, რომ ის მიზნები და ამოცანები, რომლებსაც უსახავს ქვეყანას ჩვენი პარტია, ახლობელი და გასაგებია უფართოესი მასებისათვის, სავსებით შეესაბამება მათს ინტერესებს. თავისი გმირული ისტორიის ყველა ეტაპზე ლენინ-სტალინის პარტია თავისი აგიტატორების საშუალებით ყოველთვის პოულობს პირდაპირ გზას მშრომელთა გულისაკენ, მიჰყავს თავისი ლოზუნგები უფართოესი მასების შეგნებამდე და მტკიცედ მიუძღვის ამ მასებს დასახული მიზნისაკენ.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ, რომელმაც პირველ პლანზე წამოაყენა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანა, გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა კაპიტალიზმის ნაშთებს ადამიანთა შეგნებაში და ამით განსაზღვრა ბოლშევიკური აგიტაციის ახალი ამოცანებიც. კეთილშობილური მისია გავხადოთ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელნი კომუნისტურად შეგნებულ ადამიანებად—უდიდეს ამოცანებს აკისრებს ყველა ბოლშევიკ აგიტატორს. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ გზით, რომ ხანგრძლივი დაუღალავი პოლიტიკური მუშაობა ვაწარმოოთ მასებში.

ლენინ-სტალინის პარტიამ დარაზმა დიადი საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებელთა ძლიერ არმიად, ხალხის მასებში იზრდება კომუნისტური შეგნებულობის სული და რაზმავს მათ სასახელო საგმირო საქმეებისათვის კომუნიზმის გასამარჯვებლად. ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, რომელიც გამოჭედილია ლენინ-სტალინის პარტიის მრავალი წლის დაუღალავი მუშაობით, უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის განუხრელ წინსვლითს მოძრაობას. ამ ერთიანობაშია ჩვენი ძლიერების წყარო.

ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ ბოლშევიკები იმ ადამიანთა რიცხვს როდი ეკუთვნიან, რომელნიც თვითდამშვიდებას ეძლევიან მიღწეული წარმატებებით. ჩვენ ვაშენებთ კომუნიზმს მტრულ, კაპიტალისტურ გარემოცვაში, როდესაც ყოველ წუთს ფხიზლად უნდა ვიყოთ. ჩვენ მივდივართ კომუნისტური საზოგადოებისაკენ, გზადაგზა ვითავისუფლებთ რა თავს წარსულის ნაშთების მძიმე ტვირთისაგან. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტანი როდი მოიპოვებიან წვრილმესაკუთრული ფსიქოლოგიით გამსჭვალული ადამიანები, რომელნიც ცდილობენ მისცენ სახელმწიფოს რაც შეიძლება ნაკლები, ხოლო წაჰგლიჯონ მას რაც შეიძლება მეტი. მოიპოვებიან ადამიანები არაჩვეულებრივად შეზღუდული ჰორიზონტით, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ დღევანდელი დღით და თავის პირად კეთილდღეობას საერთო-სახალხო ინტერესებზე მაღლა აყენებენ. ცოტანი როდი მოიპოვებიან მოლაყბენი, რომელნიც თავს ისე გვიჩვენებენ, თითქოს სამუშაოზე „იწვიან“, თუმცა სინამდვილეში ესენი არიან უქნარები, რომელნიც მხოლოდ ფეხებში ებანდებიან ნამდვილ მუშაკებს და ხელს უშლიან მათ წინსვლაში.

თუ მათს გავლენას მათს გარშემო მყოფებზე არ დავუპირდაპირეთ ბოლშევიკური აგიტაციის ქმედი ძალა, მათ შეუძლიათ საგრძნობი ზიანი მოგვაყენონ. ყოველგვარი ჭორები და მტრული ხმები გაცამტვერებულ უნდა იქნას პატიოსანი, მართალი, ამომწურავი, ღრმა-იდეური ბოლშევიკური აგიტაციის გავლენით. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირად ხვდებით ისეთ ფაქტებს, როდესაც ჩვენი აგიტატორები გაურბიან პასუხის გაცემას მწვავე საკითხებზე, რომლებიც მოსახლეობას აღელვებს. ისინი მორცხვად დგებიან თავდაცვითს პოზიციაზე ნაცვლად იმისა, რომ გადაჭრით შეუტიონ ჩამორჩენილ განწყობილებებს, მოთმინებით და დაჟინებით განმარტონ მტკივნეული საკითხები, დაარწმუნონ ჩამორჩენილი ადამიანები ამა თუ იმ ღონისძიებათა აუცილებლობაში, რომლებსაც საბჭოთა სახელმწიფო ატარებს.

ზოგი აგიტატორი მიჩვეულია მხოლოდ საზეიმო სიტყვებით გამოსვლას რევოლუციურ დღესასწაულებზე ან რაიმე კამპანიების დღეებში. ხშირად ადამიანები ივიწყებენ, რომ საჭიროა აგიტაციის ყოველდღიურად წარმოება, დაუყოვნებლივ გამოხმაურება მოსახლეობაში წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებზე. ზოგიერთი აგიტატორი თავის როლს განსაზღვრავს მხოლოდ გაზეთების წაკითხვით ან მათში დაბეჭდილი სტატიების შინაარსის გადაცემით. უდავოა, საჭიროა დღესასწაულებზე გამოსვლაც, საჭიროა გაზეთების წაკითხვის ჩატარებაც, მაგრამ ყოველივე ეს როდი კმარა. აგიტატორი ყოველთვის, ყოველ დღეს მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ პასუხი გასცეს ადამიანებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

გამომუშავების ახალი ნორმების შემოღებას მუშები საწარმოებში საერთო მოწონებით შეხვდნენ, მაგრამ ცნობილია, რომ გამომუშავების ახალი ნორმების შემოღებისას აქაიქ ცუღლუტები და წუნისმკეთებლები ამ ღონისძიებისათვის სახელის გატეხას შეეცადნენ. იქ, სადაც საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად არის დაყენებული, ჩამორჩენილი განწყობილებანი სწრაფად გაიფანტა, და ახალი ნორმები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც სრულდება.

ბუდიონის რაიონის (ქ. სტალინო) № 16-17 შახტში პარტბიურომ ამწმენდებს შორის საგიტაციო მუშაობა დაავალა კადრის მაღაროელ სტახანოველს ამხ. სალოხინს, ერთერთი მორიგი საუბრის დროს, როდესაც ლაპარაკი იყო დონბასის ქვანახშირის მრეწველობის მუშაობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებაზე, ამხ. სალოხინს მისცეს შეკითხვა, რით არის გამოწვეული გამომუშავების ნორმების გადიდებაო. აგიტატორმა საქმიანად, დაწვრილებით, გასაგებად უპასუხა მუშებს ამ კითხვაზე.

— ავიღოთ თუნდაც ჩვენი ბრიგადა,—სთქვა მან,—იგი არსებულ ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებდა, ძველი ნორმები ქვანახშირის ამოღების შემდგომი აღმავლობის სტიმულს კი არ იძლეოდნენ, არამედ ჩვენს წინსვლას აფერხებდნენ. რატომ ასე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება თუნდაც ჩვენს ბრიგადაში? წინათ ჩვენს უბანზე ქვანახშირის გამოგორება ცხენით სწარმოებდა, ახლა კი ელმავლით სწარმოებს. წინათ ლავში ქვანახშირის მონგრევას ვეწეოდით უროთი, ახლა კი—საყელავი მანქანით. ახალი ნორმების შემოღებით მაღაროელთა ხელფასიც იცვლება. იგი მკვეთრად იზრდება და ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას და მაღაროელთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მაღაროელები სავსებით დააკმაყოფილა აგიტატორის პასუხმა. როდესაც შემოღებულ იქნა ახალი ნორმები, მათ ენტუზიაზმით დაიწყეს ბრძოლა ამ ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ასეთი აგიტაცია ხელს უწყობს მასების აღზრდას შრომისადმი კომუნისტურ-შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით. ხოლო მეორე ადგილას პეტროვსკის რაიონის (ქ. სტალინო) № 4-21 შახტში—მსმენელები ზოგჯერ ისე მიდიან საუბრიდან, რომ კმაყოფილნი არ არიან აგიტატორ ამხ. პლაშჩენკოვთან საუბრით. მსმენელებს რომ შეჰკრებს, იგი მხოლოდ იმას სჯერდება, რომ ხმამაღლა უკითხავს მათ გაზეთს. ამასწინათ გაზეთის მორიგი წაკითხვის დროს პლაშჩენკოვს ვაჭრობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული შეკითხვა მისცეს. ნაცვლად იმისა, რომ მსმენელებისათვის საინტერესო საკითხი განემარტა, ამხ. პლაშჩენკოვმა უპასუხა:—ეს ჩვენი საუბრის თემას არ შეეხება. ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობაზე ვკითხულობთ, და გთხოვთ შეკითხვები მხოლოდ ამ თემაზე მომცეთ... განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ასეთი ქცევა აგიტატორ-ბოლშევიკს არ შეშვენის?

აგიტატორის სადა, გასაგები, მგზნებარე სიტყვა ღრმად სწვდება გულში მსმენელებს, იწვევს ადამიანებში მისწრაფებას იმუშაონ უკეთესად, უფრო ნაყოფიერად მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ. ბოლშევიკური აგიტაციის ხელოვნება შეიძლება ვისწავლოთ ლენინგრადის ბოლშევიკებისაგან, რომლებმაც თეთრფინელებთან ბრძოლების დღეებში ცოტა რამ კი არ გააკეთეს ფრონტის დასახმარებლად ადგილობრივი მოსახლეობის ძალების მობილიზაციისათვის. აგიტატორები ყოველდღე მიდიოდნენ იმ საამქროებში, სადაც სრულდებოდა შეკვეთები ფრონტისათვის, მოუწოდებდნენ ადამიანებს ემუშავნათ დაზგებთან ისეთივე სიმამაცითა და თავდადებით, როგორითაც გამოერჩეოდნენ წითელი არმიის მებრძოლნი ფრონტზე. კიროვის სახელობის ქარხანაში, კოზიცკის სახელობის ქარხანაში, ქარხანა „კრასნოზნამენეცში“ და სხვა საწარმოებში ადამიანები მუშაობდნენ დროის განურჩევლად, მთელი თავისი ძალღონისა და ენერგიის დაძაბვით, რათა ვადამდე და კეთილხარისხოვნად შეესრულებინათ საბრძოლო შეკვეთები. ზურგი და ფრონტი მოქმედებდნენ შეერთებული ძალღონით, ცხოვრობდნენ ერთიანი გრძნობით. ამაში მცირე დამსახურება როდი მიუძღვის აგიტატორებს, რომელნიც ახერხებდნენ ბოლშევიკური მოწოდებელი სიტყვით დაერაზმათ ადამიანები საგმირო საქმეებისათვის საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ადამიანები აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობენ. მათ სურთ იყვნენ მიმდინარე მომენტის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენათა კურსში. აგიტატორების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველდღიურად განმარტონ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამა თუ იმ ღონისძიებათა მნიშვნელობა, გააცნონ ადამიანები საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს.

მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიების დროს ჩვენში აგიტატორთა უდიდესი არმია გაიზარდა. მილიონობით პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ეწეოდნენ საგიტაციო-მასობრივ მუშაობას მოსახლეობის ყველა ფენაში. საარჩევნო კამპანიებმა უდიდესი როლი ითამაშეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაცხოველებაში. მაგრამ ახლა ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ შეასუსტა მუშაობა ყოფილ საარჩევნო უბნებზე. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია.

ლენინ-სტალინის პარტიამ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა. მშრომელნი ყოველთვის უდიდესი ნდობით ეკიდებიან ჩვენი აგიტატორების სიტყვებს. ბოლშევიკური აგიტაცია, რომლის მამამთავრები არიან კაცობრიობის უდიდესი გენიოსები —**ლენინი და სტალინი**, ყოველთვის განირჩეოდა ღრმა იდეურობით, სიმართლით, გაბედულებით. ჩვენი აგიტატორები ყოველთვის მტკიცედ უნდა იცავდნენ თავის მუშაობაში აგიტაციის **ლენინურ-სტალინურ** სტილს, დაუღალავად უნდა ზრდიდნენ მშრომელთა მასებს კომუნიზმის სულისკვეთებით.

„პრავდის“ მოწინავე, 8/VI.

ბელორუსიის ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ხალხური ოპერა

წარმოდგენა „ბედნიერების ყვავილს“ დაესწრნენ ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი, პ. კ. პონომარენკო

ბელორუსიის სს რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო დიდმა თეატრმა 7 ივნისს უჩვენა თავისი მეორე დადგმა — კომპოზიტორ ა. ე. ტურენკოვის ოპერა „ბედნიერების ყვავილი“ (ო. ბორისევიჩის, პ. ბროვკას და პ. გლებკას ლიბრეტო). ისე, როგორც ბელორუსიის ხელოვნების დეკადის გახსნის დღეს, წარმოდგენას დაესწრნენ სახალხო კომისრები, საბჭოთა კავშირის გმირები, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის გამოჩენილი მოღვაწეები.

ოპერა აგებულია ხალხურ ლეგენდაზე; ლეგენდა შეეხება ბედნიერების ყვავილს, რომელიც იშლებოდა ივან კუპალას წინა ღამეს, ლეგენდა წარმოშვა ხალხის ოცნებამ მშვენიერი ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ბელორუსი ხალხის ეს პოეტური ოცნება ჩინებულად არის გადაშლილი ოპერაში.

ოპერა „ბედნიერების ყვავილს“ მაყურებლები მხურვალედ შეხვდნენ. წარმოდგენის საფინალო სცენამ მქუხარე ტაში გამოიწვია.

წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები: **ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი, პ. კ. პონომარენკო.** (საკდესი).

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი მერკისი

7 ივნისს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ვ. მ. მოლოტოვმა** მიიღო ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი **ა. მერკისი.**

დარბაზობას დაესწრო ლიტვის მოსკოველი დესპანი ბ-ნი **ლ. ნატკევიჩიუსი** და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში ამხ. **ნ. გ. პოზდნიაკოვი.**

მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის ელჩი ბ-ნი შაო ლი-ძი

7 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა ჩინეთის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **ბ-ნი შაო ლი-ძი.**

ყაზანის ვაგზალზე ბ-ნ **შაო ლი-ძის** შეეგებნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი** და ჩინეთის საელჩოს შემადგენლობა საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ **ჯან და-ტიანის** მეთაურობით.

ნატახტარ-გორის გზის მშენებლობაზე

სტალინის სახელობის ფერგანის დიდი არხის მშენებელთა მდიდარი გამოცდილების გამოყენებით, კასპის რაიონის კოლმეურნეებმა 1940 წლის 5 ივნისს, ვადაზე ათი დღით ადრე დაამთავრეს მიწის სამუშაოები ნატახტარ-გორის გზის მშენებლობაზე. 19,1 კილომეტრზე სულ შესრულებულია 250.735 კუბ. მეტრი მიწის სამუშაოები; დამზადებული და მოზიდულია 11.000 კუბ. მეტრი ხრეში და რიყის ქვა.

ხრეშისა და ქვის დამზადება და მოზიდვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ა. კეზერაშვილი.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. სიდამონიძე.
მეორე საამშენებლო უბნის უფროსი ხ. ოდიშარია.

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს III სესია

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის 1940 წლის 8 ივნისის დილის სხდომის შესახებ

გუშინ 8 ივნისს, დილის 11 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მეორე სხდომა.

თავმჯდომარეობდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჭლამაზაშვილი.**

დღის წესრიგშია: საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ქ. გ. ჭიჭინაძე** (ხაგუმის ოლქი, ჩხოროწყუს რაიონი), **ვ. მ. მაზიაშვილი** (ზემო-მაჩხაანის ოლქი, სიღნაღის რაიონი), **გ. ვ. კირვალიძე** (მინაძის ოლქი, ახალციხის რაიონი), **ლ. ა. რუხაძე** (წულუკიძის პირველი ოლქი, წულუკიძის რაიონი), **გ. ა. დანელიანი** (სათხის ოლქი, ბოგდანოვკის რაიონი, **შ. ქ. ლამბაშიძე** (წულუკიძის ოლქი, ქალაქი ქუთაისი), **ი. ა. ჯავახიშვილი** (სტუდენტთა ოლქი, ქალაქი თბილისი), **ქ. მ. თარგამაძე** (ახალსოფლის ოლქი, ყვარლის რაიონი), **დ. ა. დავითაძე** (ხულოს ოლქი, ხულოს რაიონი), **მ. ი. არაქელოვა** (პუშკინის ოლქი, ქალაქი თბილისი).

ამით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დილის სხდომა დამთავრდა. (საქდესი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის 1940 წლის 8 ივნისის საღამოს სხდომის შესახებ

8 ივნისს, საღამოს 7 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მესამე სხდომა.

თავმჯდომარეობდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. დ. კოჭლამაზაშვილი.**

სესიაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **გ. დ. ჩაჩიბაია** (კორცხელის ოლქი, ზუგდიდის რაიონი), **გ. ი. კიკნაძე** (ნასაკირალის ოლქი, მახარაძის რაიონი), **ვ. ი. ხუბაევი** (სტალინირის სასოფლო ოლქი—სამხრეთ - ოსეთი), **შ. დ. ნუცუბიძე** (აფენის ოლქი, ლაგოდეხის რაიონი), **ნ. ნ. კეცხოველი** (ტყვიავის ოლქი, გორის რაიონი), **გ. ს. დარაშვილი** (ყანდაურის ოლქი, გურჯაანის რაიონი), **ს. გ. ბაზანდარაშვილი** (გორი — სასოფლო ოლქი), და **ა. ს. კეზერაშვილი** (წითელქალაქის ოლქი, კასპის რაიონი).

ამით სესიის 8 ივნისის საღამოს სხდომა დამთავრდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომის შესახებ

დღეს, 9 ივნისს, დილის 11 საათზე გრიბოედოვის თეატრში შესდგება სესიის მეოთხე სხდომა. (საქდესი)

წითელი არმიის უმაღლესი უფშემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი წითელი არმიის უმაღლესი უფშემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

XIII

მიენიჭოს გენერალ-მაიორის სახელწოდება:

12. ანატოლი იოსების-ძე **ანდრეევს,**
13. ნიკოლოზ პეტრეს-ძე **ანისიმოვს,**
14. ანდრია თევდორეს-ძე **ანისოვს,**
15. აკსელ მოსეს-ძე **ანტილას,**
16. ალექსი ინოკენტის-ძე **ანტონოვს,**
17. არკადი ნიკოლოზის-ძე **აპოლონოვს,**
18. გიორგი ალექსანდრეს-ძე **არმადეროვს,**
19. პავლე დანიელის-ძე **არტემენკოს,**
20. ბაგრატ ისაკის-ძე **არუშანიანს,**
21. კონსტანტინე იაკობის-ძე **არხიპჩიკოვს,**
22. ანდრია ნიკიტას-ძე **ასტანინს,**
23. პეტრე ნიკოლოზის-ძე **ახლიუსტინს,**
24. ალექსანდრე ივანეს-ძე **აჩკასოვს,**
25. პავლე ივანეს-ძე **აშახმანოვს,**
26. დიმიტრი ივანეს-ძე **ბადეინოვს,**
27. სერგი არტემის-ძე **ბაიდალინოვს,**
28. თევდორე ალექსის-ძე **ბაკუნინს,**
29. ექვთიმე ბიკენტის-ძე **ბარანოვიჩს,**
30. ალექსანდრე ივანეს-ძე **ბარინოვს,**
31. კონსტანტინე თევდორეს-ძე **ბარონოვს,**
32. ტერენტი კირილეს-ძე **ბაცანოვს,**
33. ივანე სიმონის-ძე **ბეზუგლის,**
34. ნიკოლოზ ნიკანორის-ძე **ბელოვს,**
35. პავლე ალექსის-ძე **ბელოვს,**
36. ვასილ ევლამპის-ძე **ბელოკოსკოვს,**
37. ვასილ ანდრიას-ძე **ბელონოგოვს,**
38. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ბელიაევს,**
39. გამალიელ იაკობის-ძე **ბელიაკოვს,**
40. ნიკოლოზ ერასტის-ძე **ბერზარინს,**
41. ალექსანდრე დიმიტრის-ძე **ბერეზინს,**
42. ლევ სამუელის-ძე **ბერეზინსკის,**
43. ილია ნიკოლოზის-ძე **ბერეზოვსკის,**
44. იბრაჰიმ პასკას-ძე **ბიკჟანოვს,**
45. ივანე ივანეს-ძე **ბირიჩევს,**
46. სერგი სიმონის-ძე **ბირიუზოვს,**
47. ნიკოლოზ ივანეს-ძე **ბირიუკოვს,**
48. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ბიაზის,**
49. ლეონიდე ვასილის-ძე **ბობკინს,**
50. ბორის დიმიტრის-ძე **ბობროვს,**
51. პავლე პეტრეს-ძე **ბოგაიჩუკს,**
52. პავლე ვასილის-ძე **ბოგდანოვს,**
53. პავლე ივანეს-ძე **ბოდინს,**
54. ალექსანდრე ვასილის-ძე **ბონდოვსკის,**
55. ვლადიმერ ბორისის-ძე **ბორისოვს,**
56. თევდორე ივანეს-ძე **ბუდანოვს,**
57. ალექსანდრე ექვთიმეს-ძე **ბუდიხოს,**
58. თევდორე სიმონის-ძე **ბურაჩკოს,**
59. პეტრე ვასილის-ძე **ბურმაკს,**
60. მარკოზ მიხეილის-ძე **ბუცკოს,**
61. ივანე ივანეს-ძე **ვარფოლომეევს,**
62. ალექსანდრე მიხეილის-ძე **ვასილიევსკის,**
63. ვლადიმერ რომანის-ძე **ვაშკევიჩს,**
64. სერგი ვლადიმერის-ძე **ვერზინს,**
65. პეტრე პანტელეიმონის-ძე **ვეჩნის,**
66. ვიქტორ ალექსის-ძე **ვიზჟილინს,**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6 და 8 ივნისის ნომრებში).

სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფშემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი სამხედრო - საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფშემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

III.

მიენიჭოს კონტრ-ადმირალის სახელწოდება:

34. ფილიპე სერგის-ძე **ოქტიაბრსკის.**
35. კირილე ოსიპის-ძე **ოსიპოვს.**
36. იური ალექსანდრეს-ძე **პანტელეევს.**
37. იური თევდორეს-ძე **რალს.**
38. ვლადიმერ იულის-ძე **რიბალტოვსკის.**
39. კონსტანტინე ივანეს-ძე **სამოილოვს.**
40. თევდორე სიმონის-ძე **სედელნიკოვს.**
41. მაქსიმე პეტრეს-ძე **სკრიგანოვს.**
42. პავლე ალექსის-ძე **ტრაინინს.**
43. ვსევოლოდ ანდრიას-ძე **უნკოვსკის.**
44. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **ხარლამოვს,**
45. თევდორე ივანეს-ძე **ჩელპანოვს,**
46. იური ვლადიმერის-ძე **შელტინგას.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6 და 8 ივნისის ნომრებში).

სესიის სხდომის დარბაზიდან

8 ივნისს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომის დარბაზში დეპუტატებმა ადგილები დაიკავეს დილის 11 საათისათვის. ლოჟებში არიან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები.

თავმჯდომარე, დეპუტატი **ი. კოჭლამაზაშვილი** სესიის მეორე სხდომას გახსნილად აცხადებს. საქართველოს ხალხის რჩეულნი შეუდგნენ საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვას.

დაიწყო დეპუტატთა გამოსვლები.

სიტყვას იღებს დეპუტატი **ქ. ჭიჭინაძე.** იგი სესიას მოუთხრობს იმ შესანიშნავ გამარჯვებებზე, რომლებსაც მიაღწიეს მზიური აფხაზეთის მშრომელებმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ **ლ. ბერიას** დახმარებით.

სიტყვა ეძლევა დოვლათიანი სიღნაღის რაიონის მშრომელთა რჩეულს, დეპუტატ **ვ. მაზიაშვილს.** მის მიერ მოყვანილი ციფრები თვალწინ გვიშლიან ამ რაიონის სამეურნეო - კულტურული აყვავების მომხიბლავ სურათს.

დეპუტატმა **გ. კირვალიძემ** სესიას მოუთხრო ახალციხის რაიონის მშრომელთა მიღწევების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ უწყობს ხელს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი რაიონების და კერძოდ ახალციხის რაიონის კულტურულ - ეკონომიურ აღორძინებას.

დეპუტატი **ლ. რუხაძე** 1940 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით შეეხო საქართველოს საფეიქრო მრეწველობის წინაშე მდგომი ამოცანების მნიშვნელობას და მოიყვანა ციფრები იმის საილუსტრაციოდ, თუ რა როლის შესრულება აქვს დაკისრებული საქართველოს საფეიქრო მრეწველობას მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საქმეში.

დეპუტატი **გ. დანელიანი** ლაპარაკობს ახალქალაქის რაიონისა და თვით ახალქალაქის მშრომელების გამარჯვებებსა და საჭიროებებზე. იგი მოუთხრობს სესიას, თუ რას წარმოადგენდა წინათ, მეფისა და მენშევიკების დროს, ეს რაიონი და რას წარმოადგენს ახლა.

გ. დანელიანის შემდეგ ტრიბუნაზე გამოდის დეპუტატი **შ. ლამბაშიძე.** იგი ლაპარაკობს ქართული სათეატრო ხელოვნების უმაგალითო მიღწევებზე და აღნიშნავს, რომ 1940 წლის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია ჩვენი სათეატრო ხელოვნების კიდევ უფრო დიდი ზრდა.

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა დეპუტატ **ი. ჯავახიშვილს.** მხცოვანი მეცნიერი ადის ტრიბუნაზე და ლაპარაკობს ქართული კულტურის უმაგალითო მიღწევებზე, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობაზე, მათს საჭიროებებზე.

შემდეგ სიტყვით გამოდის დეპუტატი **ქ. თარგამაძე.** იგი დაწვრილებით ჩერდება საგზაო მშენებლობის საკითხებზე, გაფლანგვა-მტაცებლობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხზე და განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

დეპუტატი **დ. დავითაძე** თავის სიტყვაში შეეხო მზიური აჭარის მიღწევებს. იზრდება საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველთა რიცხვი, იზრდება მოსავლიანობა, მატულობს სახალხო დოვლათი. ხალხი კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობს.

სესიის მეორე სხდომა დამთავრდა დეპუტატ **მ. არაქელოვას** გამოსვლით. მან სესიას მოუთხრო იმ დიდი ცვლილებების შესახებ, რომლებიც განიცადა თბილისის ერთერთმა ძველმა და კეთილმოუწყობელმა უბანმა ავლაბარმა.

* * *

8 ივნისს საღამოს შესდგა სესიის მესამე სხდომა. გრძელდებოდა 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

დეპუტატმა **გ. ჩაჩიბაიამ** სესიას მოუთხრო იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დგას ზუგდიდის რაიონის მშრომელთა წინაშე მიმდინარე წელს, და აღნიშნა, თუ რა დიდად შეუწყობს ხელს მათ წლევანდელი ბიუჯეტის შესრულება.

დეპუტატმა **გ. კიკნაძემ** სესიას მოუთხრო განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოების წინაშე მიმდინარე წლის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებით მდგომ ამოცანებზე.

საინტერესო იყო დეპუტატ **ვ. ხუბაევის** გამოსვლა. მისი სიტყვა მიძღვნილი იყო მენშევიკების მიერ დანგრეული და საბჭოთა ხელისუფლების დროს აღორძინებული სამხრეთ-ოსეთის მიღწევებისადმი.

ასევე ვრცლად ილაპარაკა ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა მიღწევებსა და საჭიროებებზე დეპუტატმა **შ. ნუცუბიძემ.**

დეპუტატი **ნ. კეცხოველი** შეეხო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით გათვალისწინებულ იმ ასიგნობათა საკითხს, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაშლელად.

ამავე სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატი **გ. დარაშვილი,** დეპუტატი **ს. ბაზანდარაშვილი** და დეპუტატი **ა. კეზერაშვილი.**

ბიუჯეტის პროექტის განხილვაში მონაწილე დეპუტატებმა უსაყვედურეს საქ. ფინსახკომს და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, რომ პირველი მათგანი სათანადო სიმკაცრით არ ადევნებს თვალყურს საბიუჯეტო დისციპლინის დაცვას, ხოლო მეორე ოპერატიულად ვერ ხელმძღვანელობს კომუნალურ მშენებლობას რაიონებში.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი

7 ივნისს გაიხსნა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი. პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. კომკავშირულ აქტივთან მუშაობის გაუმჯობესებისა და კომკავშირული აპარატის მუშაობის შესაბამისად გარდაქმნის შესახებ;
2. საწევრო შესატანის გადახდის მდგომარეობის შესახებ კომკავშირულ ორგანიზაციებში;
3. კოლმეურნეობებში წყალსაცავთა მშენებლობაზე საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ამხ. ნ. ა. მიხაილოვმა.**

ამხ. მიხაილოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომკავშირულ აქტივთან მუშაობის გაუმჯობესებისა და კომკავშირული აპარატის მუშაობის შესაბამისი გარდაქმნის საკითხს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ლაპარაკია არა ფორმალურ გარდაქმნაზე, როდესაც კმაყოფილდებიან მაგიდების გადადგმასა და კაბინეტების შეცვლას, არამედ არსებითს გარდაქმნაზე, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ გაძლიერდეს კომკავშირის ურთიერთობა ახალგაზრდობასთან, კომკავშირმა უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის მთელს სახელმწიფოებრივსა და სამეურნეო საქმიანობაში, ამაღლებულ იქნას კომკავშირულ ორგანიზაციათა იდეურობა, ბრძოლისუნარიანობა და დისციპლინიანობა.

მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ახასიათებენ კომკავშირული ორგანიზაციის ზრდას, მის აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურსა და სამეურნეო ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ ორ წელიწადში (1938 წლის 1 იანვრიდან 1940 წლის 1 იანვრამდე) კომკავშირი ერთი-ორად გაიზარდა — იყო 4.970 ათასი კაცი, ახლა არის 10.223 ათასი. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სამზადისში 2,5 მილიონმა კომკავშირელმა მიიღო მონაწილეობა. სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის 360 ათას მონაწილეს შორის 150 ათასი კაცი ახალგაზრდობის წარმომადგენელია. ათიათასობით კომკავშირელები დაწინაურებული არიან პარტიულ, საბჭოთა და სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ კომკავშირს სერიოზული ამოცანა დაუსახა — უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ და სამეურნეო საქმიანობაში. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ მასში აქტივმა არ მიიღო მონაწილეობა.

მომხსენებელი მკვეთრად აკრიტიკებს ნაკლოვანებებს, რომლებიც ხელს უშლიან ამ ამოცანის შესრულებას. მთავარი ნაკლოვანება არის კომკავშირული აპარატის გაბერილი შტატები რაც იწვევს აქტივის ჩამოშორებას ორგანიზაციის მუშაობისაგან. ნაცვლად იმისა, რომ მუშაობაში ჩააბან აქტივი, ფასიანი მუშაკები ცდილობენ თვითონ გააკეთონ ყველაფერი აქტივის მაგივრად. ბევრი საოლქო კომიტეტი უმთავრესად ფასიანი მუშაკების იმედით არის. საქ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საოლქო კომიტეტთა 103 გადაწყვეტილება მიიღო, ისინი ითხოვენ შტატების გადიდებას. მოითხოვენ ინსტრუქტორებს, გამგეებს, მოადგილეებს. მაგრამ მუშაობაში არ აბამენ არამარტო ეგრეთწოდებულ შტატგარეშე ინსტრუქტორებს, არამედ პლენუმების წევრებსაც კი.

პირველადს ორგანიზაციებშიც არის მისწრაფება იყოლიონ რაც შეიძლება მეტი განთავისუფლებული მუშაკი, ამასთან ხანდახან საწარმოთა ხარჯზე. მაგალითად, ლენინგრადში ამნაირად 300 დაქირავებულ მუშაკს ინახავენ.

გაბერილი შტატების გამო კომკავშირული აპარატი სწყდება მასებს, იქმნება ბიუროკრატიული სახდომო ფუსფუსი, კადრებს ვერ იცნობენ, გაურბიან ახალგაზრდობის დაწინაურებას.

ამხ. მიხაილოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავარი ამოცანა ამჟამად არის კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურ მუშაობაში ჩააბან ახალი აქტივის ასიათასობით ადამიანები. მთელი კომკავშირული სამუშაო არაგანთავისუფლებული მუშაკების ძალებით უნდა სრულდებოდეს.

— კომკავშირულმა აპარატმა ისე უნდა ააწყოს საქმე,—ამბობს მომხსენებელი, — რომ თვითეულმა კომკავშირელმა, თვითეულმა ორგანიზაციამ შესძლოს სავსებით გამოავლინოს თავისი ძალა და ცოდნა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ამხ. მიხაილოვი ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე, რომ საჭიროა გადაჭრით განმტკიცდეს დისციპლინა კომკავშირულ ორგანიზაციებში, ძირიანად გარდაიქმნას კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის სამხედრო ფიზკულტურული აღზრდა.

ამხ. მიხაილოვის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა. (საკდესი).

საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს III სესია

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ

გ. ე. ნარსიას თანამოხსენება 1940 წლის 7 ივნისის სხდომაზე

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო მეურნეობის გეგმის სრული შესაბამისობით და მთლიანად გამომდინარეობს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, იმ ამოცანებიდან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დასახა ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა**. ლენინ-სტალინის პარტიის XVIII ყრილობამ დასახა კომუნიზმის გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის უდიდესი პროგრამა. მან დარაზმა სოციალიზმის მშენებელთა მრავალმილიონიანი ხალხი საბჭოთა კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადასაჭრელად. ეს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სტალინური ეპოქის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, ის არის ჩვენი სახელმწიფოს შემოსავლისა და გასავლის ანგარიში, რომელშიც სრულ განსახიერებას ჰპოულობს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების უმაგალითო ზრდა, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კულტურული და მატერიალური დონის ამაღლება. ბიუჯეტში მკაფიოდ არის ასახული ის უდიდესი გამარჯვებები, რომელნიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(მქუხარე ტაში).**

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ნათლად არის მოცემული სოციალიზმის ქვეყნის დაუშრეტელი შემოქმედებითი შესაძლებლობა, ჩვენი ქვეყნის სულ უფრო სწრაფი სამეურნეო და კულტურული აღორძინება, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების შეუჩერებელი ზრდა და ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის განუყრელი სტალინური მეგობრობა.

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც აღფრთოვანებით და ერთსულოვნობით დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა სურვილის შესაბამისად, ჩვენი სამშობლოს თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებისათვის ითვალისწინებს 57.066 მილიონ მანეთს. ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო უძლეველია და მიუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენს ჩვენი მტრებისათვის. ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მთელი მსოფლიოს წინაშე უკვე დაამტკიცეს თავიანთი უძლეველობა.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი სახელოვანი წითელი არმია და სამხედრო - საზღვაო ფლოტი, რომელიც აღზრდილია დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემს ყველა აგრესორს, ვინც კი შეეცდება გადმოლახოს სტალინური მზით გამთბარი, საამური და ბედნიერი ცხოვრებით აღსავსე დიდი საბჭოთა კავშირის საზღვრები.

სახელოვანმა წითელმა არმიამ გაანადგურა საბჭოთა საზღვრების დამრღვევი აგრესორები ხასანის ტბის რაიონში, მდინარე ხალხინ-გოლთან მომხდარ ბრძოლებში, პოლონელი პანებისა და კაპიტალისტების უღლისაგან გაათავისუფლა დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის მშრომელები, ჩვენი თვისტომი ძმები, საბოლოოდ უზრუნველჰყო ჩვენი სიამაყის — ლენინის ქალაქის უშიშროება. სახელოვანმა წითელმა არმიამ გაანადგურა თეთრფინელი ბანდები. გაარღვია და გაანადგურა მანერჰაიმის ხაზი, რომელიც წინათ მიუვალად ითვლებოდა. კარელია - ფინეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე ფინეთიდან სსრ კავშირის ხელში გადმოსულ ტერიტორიაზე შეიქმნა მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — კარელია-ფინეთისა.

ამხანაგო დეპუტატებო! კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირისა და კარელია - ფინეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა არჩევნებისათვის. სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე 16 ივნისს რესპუბლიკის მშრომელები ხმას მისცემენ სამშობლოს მოწინავე ადამიანებს, — ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილებს.

აღნიშნული დღე უდიდესი ზეიმის დღეა არა მარტო კარელია-ფინეთის რესპუბლიკის მშრომელებისათვის, არამედ მთელი საბჭოთა 183-მილიონიანი ხალხისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! სტალინური ხუთწლედების განმავლობაში დიდად გაიზარდა სახალხო მეურნეობა და, მასთან დაკავშირებით, ქვეყნის ფინანსიური ძლიერება. საბჭოთა კავშირის ძლევამოსილობა საყოველთაოდ ცნობილია. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები თითქმის მთლიანად გადაყვანილია სამხედრო ხარჯებზე და განიცდიან ქრონიკულ დეფიციტს, საბჭოთა სოციალისტური ქვეყნის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის შემდგომ აღმავლობას ხმარდება. გარდა ამისა, საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტმა არ იცის დეფიციტი, ჩვენი ბიუჯეტი მთლიანად ემსახურება ხალხის ინტერესებს.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ და წარმოდგენილია სესიაზე დასამტკიცებლად, დაწვრილებით განიხილა საბიუჯეტო კომისიამ. საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი სავსებით შეეფერება იმ ამოცანებს, რომელნიც დასახულ იქნა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობის მიერ მესამე ხუთწლედისათვის. ბიუჯეტი სრულიად სწორად ითვალისწინებს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში შემავალ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკების, სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ცალკე რაიონებისა და ქალაქების საჭიროებათ. საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1940 წლის ბიუჯეტში სწორად არის გათვალისწინებული სახსრები სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებისათვის — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის, საერთოდ სწორად არის აგებული და დაანგარიშებული ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროები.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1940 წლის ბიუჯეტი მიღებულია 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით. 1935 წელს კი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 517.200 ათას მანეთს. ზრდა უდრის 137 პროცენტს. მაშასადამე, ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს ბიუჯეტი გაიზარდა ერთი-ორად და უფრო მეტად. საბჭოთა საქართველოს ბიუჯეტის ასეთი გიგანტური ზრდა შედეგია იმ უდიდესი მიღწევებისა, რომელნიც საქართველოს სს რესპუბლიკამ მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით.

საქართველოში შექმნილია მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობის, ელექტროენერგეტიკული, ლითონის დამმუშავებელი, ნავთის, საფეიქრო, აბრეშუმის, ჩაისა და სამთომადნო მრეწველობა. ქვანახშირის მრეწველობა გაიზარდა ერთი-ორად და უფრო მეტად. ამრიგად, საქართველო, რომელიც მეფის დროს კოლონიას წარმოადგენდა, ამჟამად ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანას წარმოადგენს. იგი გადაიქცა დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე რესპუბლიკად.

საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა განუხრელად გრძელდება. ორგანიზაციულად, პოლიტიკურად და მეურნეობრივად მტკიცდებიან კოლმეურნეობები სას. სამეურნეო არტელის სტალინური წესდების საფუძველზე. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნე გლეხების შეძლებულება.

1940 წლის პირველი იანვრისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია ყველა გლეხური მეურნეობის 92,3 პროცენტი.

საქართველოს აქვს მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ჩვენში ხარობს ისეთი ძვირფასი და მაღალშემოსავლიანი კულტურები, როგორიცაა: ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, დაფნა, ევკალიპტი, ტუნგო და სხვა მრავალი.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პავილიონი სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ადასტურებს ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის განმტკიცებასა და მოსავლიანობის განუხრელ ზრდას. საქართველოს პავილიონი როგორც გასულ, ისე მიმდინარე—1940 წელს მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ შეფასებულ იქნა ფრიადზე. სოფლის მეურნეობაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებები მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი სტალინის ერთგული მოწაფის, ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** სახელთან.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სახალხო მეურნეობის განუხრელმა ზრდამ შექმნა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მდიდარი წყაროები. ჩვენი 1940 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ერთ-ერთ მთავარ წყაროს შეადგენს ბრუნვიდან გადასახადი — 1.629,8 ათასი მანეთი, რაც 1939 წელთან შედარებით 10,6 პროცენტითაა მეტი. სახელმწიფო ბიუჯეტში 1940 წელს ბრუნვის გადასახადიდან ჩაირიცხება 544,3 მილიონი მანეთი. ეს თანხა, 1939 წლის ანარიცხებთან შედარებით, მცირდება 23,2 პროცენტით, რაც შედეგია სახალხო მეურნეობის დაგროვებისა და საქართველოს ბიუჯეტის სხვა შემოსავლის ზრდისა. ბრუნვის გადასახადის ანარიცხების ხვედრითი წონა 1940 წლის ბიუჯეტში ჯერ კიდევ საგრძნობლად დიდია, იგი 44 პროცენტს შეადგენს. ყველა სხვა შემოსავალია 682,5 მილიონი მანეთი, რაც ჩვენი ბიუჯეტის 56 პროცენტს უდრის.

მეორე ძირითადი შემოსავალი ჩვენი ბიუჯეტისა არის სოციალისტური დაგროვების ანარიცხები, რაც ჩვენს ბიუჯეტში 203,0 მილიონ მანეთს შეადგენს. შემოსავლის ეს წყარო გვაძლევს სწრაფ ზრდას: 1939 წელთან შედარებით, იგი იზრდება 42,0 პროცენტით.

განსაკუთრებით იზრდება ანარიცხები კვებისა და ადგილობრივი მრეწველობის მოგებიდან. მოგების ანარიცხების საერთო ჯამი რესპუბლიკურ წარმოებებიდან უდრის 154,9 მილიონ მანეთს. მარტო კვების მრეწველობის ხაზით ბიუჯეტში ირიცხება 65,6 მილიონი მანეთი.

ჩვენი ბიუჯეტის შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა აქვს გადასახადებს მოსახლეობიდან, რაც 1940 წელს 194,5 მილიონ მანეთს შეადგენს. ამ გადასახადებში მთავარი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, რომელიც ბიუჯეტში გათვალისწინებულია 43,5 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ბიუჯეტში დიდი ხვედრითი წონა აქვს აგრეთვე ანარიცხებს სახელმწიფო სესხების რეალიზაციიდან, რაც 85,8 მილიონ მანეთს, ანუ 92,7 პროცენტით მეტს შეადგენს, ვიდრე გასულ წელს. ამ შემოსავლის ასეთი ზრდა გვიჩვენებს, თუ რა აქტივობით უჭერენ მხარს ჩვენი ქვეყნის მშრომელები სახელმწიფო სესხებს, მათ კარგად ესმით, რომ საბჭოთა სესხები ხმარდება სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ზრდას ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის შემდგომ განმტკიცებას.

1940 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავალი ხმარდება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს შემდეგი რაოდენობით: სახალხო მეურნეობის დაფინანსებას —261.581 ათასი მანეთი, სოც. კულტურულ ღონისძიებებს — 846.081 ათასი მანეთი, სახელმწიფო მმართველობისა და სასამართლო ორგანოების შენახვაზე—107.858 ათასი მანეთი და სხვ. ხარჯები—11.931 ათასი მანეთი.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილით გათვალისწინებული ხარჯები მთლიანად ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მზრუნველობას მშრომელთა კულტურული და მატერიალური პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ბიუჯეტის 68,8 პროც. ანუ 846.081 ათასი მანეთი დაიხარჯება სოც. კულტურის ღონისძიებაზე, ე. ი. 1939 წელთან შედარებით 51.287 ათასი მანეთით ანუ 6,4 პროცენტით მეტი. მარტო სახალხო განათლების ხარჯები შეადგენენ 575.678 ათას მანეთს, 1939 წელს კი 541.241 ათას მანეთს შეადგენდა. მატება უდრის 34.437 ათას მანეთს, 6,3 პროცენტს. სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 194.696 ათასი მანეთი, ანუ 15.726 ათასი მანეთით მეტი; ზრდა უდრის 8,9 პროცენტს. საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. ციმაკურიძე თავის მოხსენებაში ვრცლად შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომელნიც ჩატარებულ იქნება 1940 წელს სოცკულტურის დარგში. აღნიშნულისა გამო, ვფიქრობთ ზედმეტი იქნება მათი განმეორება. ამხ. ციმაკურიძის მოხსენებაში მოყვანილი მაჩვენებლები თავისთავად მოწმობენ პარტიისა და მთავრობის უდიდეს ღონისძიებებს შემდგომი დიდი კულტურული წინსვლისათვის 1940 წელს. ხარჯები ბიუჯეტში ჩვენი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად არის გათვალისწინებული.

ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების შედეგად ჩვენს ქვეყანაში ყველა ერისათვის უზრუნველყოფილია ეკონომიური და კულტურული განვითარება. აღნიშნულის ნათელ სურათს იძლევა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების და სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის 1940 წლის ბიუჯეტები.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 78.784 ათას მანეთს, აქედან ხარჯები სოც. კულტურის ღონისძიებებისათვის შეადგენს 60.857 ათას მანეთს, ანუ ბიუჯეტის 77 პროცენტს, 1939 წელთან შედარებით, სოც. კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები 1.939 ათასი მანეთით იზრდება. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზარდა 68 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტის მოცულობას შეადგენს 55.887 ათასი მანეთი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა ერთი-ორად—100,1 პროცენტით. სოც. კულტურის ღონისძიებათა ხარჯები შეადგენს 41.440 ათას მანეთს, ანუ ბიუჯეტის 74,1 პროცენტს. 1939 წელთან შედარებით სოც. კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები იზრდება 772 ათასი მანეთით.

სამხრეთ - ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 31.620 ათას მანეთს. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ბიუჯეტი გაიზარდა 130 პროცენტით. სოც. კულტურის ღონისძიებათა ხარჯები შეადგენს 25.195 ათას მანეთს, ანუ ბიუჯეტის 79,8 პროცენტს. 1939 წელთან შედარებით, სოც. კულტურის ღონისძიებათა ხარჯები იზრდება 1.211 ათასი მანეთით.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სახალხო კომისარიატების წარმომადგენლების თანდასწრებით, საბიუჯეტო კომისიამ დაწვრილებით განიხილა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი და საჭიროდ სცნო შეიტანოს მასში შემდეგი შესწორებანი: გადიდებულ იქნას ადგილობრივი ბიუჯეტი 5.841 ათასი მანეთით, აქედან განათლების ხაზით 1.766 ათასი მან., ჯანმრთელობის ხაზით 1.075 ათასი მან., კომუნალური მეურნეობის ხაზით 2.400 ათასი მან., რაიაღმასკომებისა და სოფლის საბჭოების შენობათა შესაკეთებლად 600 ათასი მან.

საბიუჯეტო კომისიამ დაწვრილებით განიხილა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ბიუჯეტები და შესაძლებლად სცნო შემდეგი შესწორებების შეტანა:—აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ბიუჯეტი გადიდდეს 660,3 ათასი მან., აჭარის ასს რესპუბლიკის ბიუჯეტი—555 ათასი მანეთით, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი—233 ათასი მან. სახალხო მეურნეობის დაფინანსება შემცირდეს 3 მილიონი მანეთით, სოც. კულტურის ღონისძიების ხარჯები —2.841 ათასი მან. სულ საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტი შემცირდეს 5.841 ათასი მან. ყველა ამ შესწორებების შემდეგ, თუ კი ისინი მიღებულ იქნებიან უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი შეადგენს შემოსავლის ნაწილში 1.227.451 ათას მანეთს და გასავლის ნაწილში 1.227.451 ათას მანეთს, აქედან რესპუბლიკურ ბიუჯეტს შეადგენს 513.974 ათასი მანეთი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტს —713.477 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულება საბრძოლო დავალებაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საწარმოო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებით, სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით, შინაგან საშუალებათა მობილიზაციის უზრუნველყოფით, მომჭირნეობის გაწევით, უყაირათობის აღმოფხვრით, საბიუჯეტო დისციპლინის მტკიცედ დაცვით და, რაც მთავარია საბიუჯეტო დისციპლინის ცალკეულ დარღვევათა ფაქტების სწრაფი ლიკვიდაციით ჩვენ შევძლებთ ამ საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ჩარკვიანმა შეაჯამა განვლილ პერიოდში ჩატარებული უდიდესი მუშაობა და დაგვისახა საბრძოლო ამოცანები ჩვენი მრეწველობის — ქვანახშირის, ნავთის, მარგანეცის, სატყეო, კვების, საფეიქროსა და ადგილობრივი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ფართოდ გაიშალა მუშაობა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIII ყრილობის დადგენილებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის, რაც იმის საწინდარია, რომ პირნათლად იქნება შესრულებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, საბჭოთა ორგანოების ყველა მუშაკი სოციალისტური შრომის მეთოდებისა და სტახანოვური მოძრაობის უფრო ფართო გაშლით წარმატებით შეასრულებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის საბრძოლო პროგრამას.

ამხანაგო დეპუტატებო! საბიუჯეტო კომისია მოახსენებს სესიას, რომ რესპუბლიკის ცალკეულმა რაიონებმა ვერ შეასრულეს გეგმები 1939 წლის მასობრივი გადასახადების აკრეფის დარგში. მაგალითად, ასპინძის რაიონმა გეგმა მხოლოდ 75 პროცენტით შეასრულა, მაიაკოვსკისამ — 85 პროც., ყვარლისამ — 63,9 პროც., კასპისამ—70,7 პროც., საჩხერისამ — 82,9 პროც. და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივ გადასახადების დარგში რესპუბლიკის 61 რაიონიდან გეგმა მხოლოდ 22 რაიონმა შეასრულა. ამ ჩამორჩენილმა რაიონებმა სახელმწიფო ბიუჯეტს 5,529 ათასი მანეთი დააკლეს. ბრუნვის გადასახადის 1939 წლის გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ მთელი რიგი რაიონები: მაგალითად, ზემო-სვანეთის რაიონმა გეგმა შეასრულა 71,3 პროც., მაიაკოვსკისამ—96,5 პროც., დუშეთისამ — 89,8 პროც., ქუთაისისამ — 58,5 პროც., ჩოხატაურისამ — 86,4 პროც. და სხვა. ამგვარად რესპუბლიკის 12 რაიონმა გეგმის ამ შეუსრულებლობით სახელმწიფო ბიუჯეტს 5.676 ათასი მანეთი დააკლეს. 1938 წელს ბიუჯეტით სასოფლო - სამეურნეო გადასახადი ერთპიროვნულ მეურნეობებიდან უნდა აკრეფილიყო 12.568 ათასი მანეთი, ფაქტიურად კი აიკრიფა მხოლოდ 11.422 ათასი მანეთი. ასაკრეფი დარჩა 1.146,0 ათასი მანეთი. ერთპიროვნულ მეურნეთა კოლმეურნეობებში შესვლის შედეგად 1939 წელს საგრძნობლად შემცირდა ერთპიროვნულ მეურნეობაში ასაკრეფ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოცულობა. 1939 წელს ბიუჯეტით დამტკიცებულ იქნა 9,8 ათასი მანეთი, ხოლო შესრულებულია 7.592,0 ათასი მანეთის რაოდენობით, დარჩენილია ასაკრეფი 1.488,0 ათასი მანეთი. ეს ციფრი გვავალებს ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობის ჩატარებას. ჩვენი კოლმეურნეები პირნათლად იხდიან ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე. ჩამორჩენას ადგილი აქვს მხოლოდ ერთპიროვნულ მეურნეების ხაზით, რაც ჩვენი სოფლის მეურნეობის უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს. საფინანსო ორგანოებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა უნდა გაშალონ სათანადო მუშაობა, რათა უზრუნველჰყონ ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მთლიანად აკრეფა.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ციმაკურიძემ თქვენ მოგახსენათ, რომ 1938 და 1939 წლების ბიუჯეტის შესრულების დროს დაწესებულებათა ქსელის გაშლის გეგმის შეუსრულებლობის გამო ჯანმრთელობის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის ღონისძიებების ხაზით გათვალისწინებული სახსრები არასაკმაოდ იქნა ათვისებული. მაგალითად, 1938 წელს ჯანმრთელობის ხაზით აუთვისებელი დარჩა 12.866 ათასი მანეთი, ანუ 6,8 პროცენტი, ხოლო 1939 წელს 8.545 ათასი მანეთი, ანუ ასიგნობათა 4,3 პროცენტი. 1939 წელს განათლების ხაზით აუთვისებელი დარჩა 8.069 ათასი მანეთი, ანუ ასიგნობათა 4,3 პროცენტი. ამაში ნაწილობრივ ფინანსთა სახალხო კომისარიატსაც მიუძღვის ბრალი, რადგან მან დროულად ვერ შეამოწმა ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატების ხაზით ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა. ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატებმა სასწრაფოდ უნდა გარდაქმნან მუშაობა, რათა 1940 წლის ბიუჯეტი შესრულებული იქნას წარმატებით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს თავის მუშაობაში გარკვეული მიღწევები აქვს, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა და ოპერატიული დახმარება ცალკეულ რაიონებისადმი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. იგი ჯერ კიდევ არ უწევს საკმაო ფინანსიურ კონტროლს სამეურნეო და საბიუჯეტო ორგანიზაციებს. საჭიროა ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ გარდაქმნას თავისი მუშაობა.

ამხანაგო დეპუტატებო! ასეთია საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, შენიშვნები და წინადადებები 1940 წლის ბიუჯეტის შესახებ. 1940 წლის ბიუჯეტი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის უდიდესი მაჩვენებელია; იგი მთლიანად ასახავს პარტიის XVIII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებს. საბჭოთა კავშირის მშრომელები ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით კვლავ ახალ და ახალ გამარჯვებას მოიპოვებენ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, კიდევ უფრო განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ ძლევამოსილებას, კიდევ უფრო გააძლიერებენ კლასობრივ სიფხიზლეს და შემდგომ განამტკიცებენ თავდაცვით უნარიანობას. ამის საუკეთესო თავდებია საბჭოთა 183-მილიონიანი ხალხის მორალურ - პოლიტიკური ერთიანობა, მათი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მთელი მსოფლიოს პროგრესიული კაცობრიობის დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინისადმი**.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, საბჭოთა კავშირის სახელოვანი დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სესიის 1940 წლის 8 ივნისის სხდომა

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ კ. გ. ჭიჭინაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად, ასახავს იმ გრანდიოზულ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, რაც მოპოვებულია ჩვენი დიადი სამშობლოს მიერ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, ეპოქის უდიდესი ადამიანის, ჩვენი ძვირფასი და მთელი პროგრესიული კაცობრიობისათვის საყვარელი ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით **(ტაში).**

სესიის განსახილველად წარმოდგენილი ბიუჯეტი სავსებით უზრუნველყოფს იმ ღონისძიებათა დაფინანსებას, რომლებიც დამტკიცებულია მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო - სამეურნეო გეგმით, ითვალისწინებს ასიგნობათა ზრდას ჩვენი ორდენოსანი აყვავებული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებისათვის და მთლიანად ექვემდებარება იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებით და დიდი **სტალინის** ბრძნული მითითებებით.

საქართველოს სსრ ბიუჯეტი წლითი - წლობით იზრდება. თუ 1939 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი ნაწილი დამტკიცებული იყო 1.158.882 ათასი მანეთის რაოდენობით, ხოლო 1938 წ. იგი შეადგენდა 1.068.637 ათას მანეთს, საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტი განსაზღვრულია 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით. 1939 წელთან შედარებით ის გაიზარდა 68.569 ათასი მანეთით, ანუ 5,9 პროცენტით, ხოლო 1938 წ. ბიუჯეტთან შედარებით 159.814 ათასი მანეთით, ანუ 12,9 პროცენტით.

1940 წლის ასიგნობათა საერთო თანხიდან სახალხო მეურნეობას, ე. ი. მეურნეობის სოციალისტური სისტემის და სოციალისტური საკუთრების გაფართოებასა და განმტკიცებას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით 143.450 ათასი მანეთი ხმარდება.

მოყვანილი ციფრები თვალსაჩინოდ ასახავენ საქართველოს სსრ ბიუჯეტის სოციალისტურ ბუნებას, რომლის ეკონომიურ საფუძველს მეურნეობის სოციალისტური სისტემა შეადგენს.

ამხანაგო დეპუტატებო! ბიუჯეტში, როგორც სარკეში ასახულია ის დიდი გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა მრავალეროვანმა ქვეყანამ, ჩვენმა ხალხმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომლის მუშაობას უკანასკნელი 8-9 წლის განმავლობაში წარმართავდა ჩვენი პარტიისა და ხალხის ერთგული შვილი, დიდი სტალინის თანამებრძოლი, ყველასათვის საყვარელი, ჩვენი ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია (ტაში).**

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ყურადღება ნაციონალური რესპუბლიკებისა და ოლქების იმ ხალხთა სახალხო მეურნეობისა და კეთილდღეობისადმი, რომლებიც წინათ ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი იყვნენ ნათელ გამოხატულებას პოულობს აფხაზეთის რესპუბლიკის მაგალითზე, მისი ბიუჯეტი 1940 წლისათვის წარმოდგენილი პროექტით 78.784 ათას მანეთს შეადგენს, რაც 1938 წ. ბიუჯეტს 6.981,2 ათასი მანეთით აღემატება. ხოლო 1939 წ. ბიუჯეტს—1.765,6 ათასი მანეთით.

ზემოაღნიშნული წლების ბიუჯეტის გასავლის ნაწილში შეტანილი არ არის ის დიდი დაბანდებანი, რომლებიც გაწეულია საკავშირო და რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან, როგორც, მაგალითად, ტყვარჩელის სტალინის სახელობის ქვანახშირის მაღაროს, ბერიას სახელობის ტყვარჩელთბოელსადგურის, სოხუმჰესის, შავიზღვის რკინიგზის მშენებლობის მრავალრიცხოვანი საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების დაფინანსება, კოლმეურნეობათა დაკრედიტება და სხვ.

პარტიისა და მთავრობის და პირადად ამხანაგ ბერიას უდიდესი დახმარებით, განსაკუთრებით უკანასკნელი 8-9 წლის განმავლობაში სრულიად გარდაიქმნა ოდესღაც ღატაკი აფხაზეთი. ის გადაიქცა სპეციალური და ტექნიკური კულტურების ქვეყნად და მთელი საბჭოეთის ჯანმრთელობის კერად, კულტურისა და წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით შეიარაღებული მსხვილი მრეწველობის, მსხვილი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, კულტურული, ბედნიერი და შეძლებული ცხოვრების ქვეყნად.

აფხაზეთის სახელმწიფო და ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქცია (ტყვარჩელნახშირის, თბოელსადგურის, ეთერ-ზეთოვანი და ჩაის მრეწველობის გარდა) 1939 წელს 70 მილიონ მანეთს შეადგენდა, რაც ხუთჯერ აღემატება 1932 წლის პროდუქციას. საქონელბრუნვა 1939 წ. შეადგენდა 337,5 მილიონ მანეთს, ნაცვლად 1937 წლის 277,5 მილიონი მანეთისა. ხოლო 1940 წლისათვის საქონელბრუნვა დაგეგმილია 370 მილიონი მანეთის რაოდენობით.

აფხაზეთის ქალაქები და სოფლები დაიფარა სკოლებისა და კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების ფართო ქსელით. თუ ცარიზმის დროს მოსახლეობის თითო სულის აღზრდაზე მხოლოდ 2 კაპიკი იხარჯებოდა, ამჟამად მოსახლეობის თითო სულის სოციალურ-კულტურულ მოთხოვნილებაზე იხარჯება 200 მანეთზე მეტი, მათ შორის სახალხო განათლებაზე 120 მანეთამდე.

აფხაზეთში ამჟამად 500-მდე სკოლაა 70 ათასამდე მოსწავლით. ჩვენ გვაქვს უმაღლესი სასწავლებელი სოხუმში—ამხანაგ ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი 1.195 სტუდენტით. დაუსწრებლად სწავლობს 550 სტუდენტი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქალაქად და სოფლად აგებულია 19 ახალი სასკოლო შენობა. მიმდინარე წელს დაპროექტებულია 7 ახალი სასკოლო შენობის აგება.

ხალხის უბოროტესი მტრების ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს აფხაზეთში არ იყო კლუბები და ბიბლიოთეკები. 1940 წელს ჩვენ გვაქვს 115 ბიბლიოთეკა, ქოხ-სამკითხველო, კლუბი და სოც. კულტურის სახლი. სოხუმში მუშაობს სახელმწიფო დრამის სამი თეატრი (აფხაზური, ქართული, რუსული), სახესტრადა, აფხაზურ - ქართული გუნდი, რამდენიმე კინოთეატრი, მათ შორის 1939 წელს აშენებული 2 კინოთეატრი. აფხაზეთში გამოდის 9 საოლქო და რაიონული გაზეთი და მრავალი კედლის გაზეთი. აქვე ვსცემთ სახელმძღვანელოებს ჩვენი სკოლებისათვის, ჩვენი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს. ჩვენმა მწერალმა ამხ. დ. გულიამ უკვე დაამთავრა აფხაზურ ენაზე შ. რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა **(ტაში).** როგორც დიდი მიღწევა, უნდა აღვნიშნოთ აფხაზურ ენაზე „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში 1.500 პროცენტით გაიზარდა საავადმყოფოთა ქსელი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აფხაზეთის კურორტთა კეთილმოწყობის საქმეში დაბანდებულია 13 მილიონ მანეთზე მეტი. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში აფხაზეთის ასსრ გადაიქცა აყვავებულ ქვეყნად. ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი 6.640 ჰექტარს აღწევს, ნაცვლად 1936 წ. 1 იანვრისათვის არსებული 624 ჰექტარისა; ჩაის ფართობი შეადგენს 8.800 ჰექტარს, ნაცვლად 1931 წლის 1.600 ჰექტარისა. უჩვეულოდ გაიზარდა ვაზის, ტუნგოს, ხეხილის, ევკალიპტის, კეთილშობილი დაფნის, ბამბუკისა და სხვა ძვირფასი კულტურების ნარგავთა რაოდენობა.

ოთხი მტს-ი უწევს მომსახურებას ჩვენს კოლმეურნეობებს. წელს ეწყობა ერთი სამანქანო - ამომძირკავი სადგური.

30 მილიონ მანეთზე მეტი მიეცემა წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებს გრძელვადიან სესხად.

პარტიისა და მთავრობის ასეთმა უსაზღვრო და ყოველდღიურმა მზრუნველობამ უზრუნველჰყო კულტურის უჩვეულო ზრდა და აფხაზეთის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლება ქართველ ხალხთან ერთად.

ყოველდღიურად იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 1939 წელს შეადგენდა 84.785 ათას მანეთს, ნაცვლად 1937 წლის 62 მილიონისა.

დიდძალი სახსრები გაღებულია საკავშირო ბიუჯეტით აფხაზეთის დაუსახლებელი ნაყოფიერი მიწების ათვისებლად. ახალდასახლებულ სოფლებში ჯერჯერობით გაშენებულია 7 კოლმეურნეობა 1.150 კეთილმოწყობილი სახლით. წელს კიდევ უნდა აშენდეს 650 სახლი. ამ ღონისძიებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს 1940 წ. 25 აპრილის ისტორიულ დადგენილებაში. მომავალშიაც ამ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია მეტად დიდი დაბანდებანი.

1940 წელს დიდი დაბანდებებია გათვალისწინებული რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის ობიექტებზე—რკინიგზაზე, ტყვარჩელქვანახშირზე, ჩაის ფაბრიკებზე, ენგურისა და სხვა ხიდების მშენებლობაზე.

პარტიისა და მთავრობის ასეთი უდიდესი დახმარება, ასეთი უდიდესი ასიგნობანი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ გვაკისრებენ ჩვენ, სახელმწიფო აპარატის

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს III სესია

სესიის 1940 წლის 8 ივნისის სხდომა

კამათი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გაკეთებული მოხსენებების გამო

დეპუტატ კ. გ. ჭიჭინაძის სიტყვა

(დასასრული)

მუშაკებს, დანიშნულებისამებრ და მაქსიმალური ეფექტიურობით გამოვიყენოთ თვითეული კაპიკი.

ამხანაგო დეპუტატებო! მე ვაყენებ რამდენიმე საკითხს, რომლებიც აფხაზეთის ასსრ 1940 წლის ბიუჯეტს შეეხება, და ვთხოვ სესიას მხედველობაში მიიღოს ჩვენი მოთხოვნები და შეიტანოს სათანადო ცვლილებანი ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში: წელს დასრულდა გადმოსახლებული კოლმეურნეობების ორი დიდი დასახლების მშენებლობა. ერთში 250 მეურნეობაა, ხოლო მეორეში—450. აქ უნდა შეიქმნას სოფლსაბჭოები. მათი ბინების მოსაწყობად ბიუჯეტით გათვალისწინებულ უნდა იქნას სათანადო სახსრები; ადგილობრივი სამშენებლო მასალების მრეწველობის გასაფართოებლად დამატებით გაღებულ უნდა იქნას 450 ათასი მანეთი. გათვალისწინებულ უნდა იქნას სახსრები გაგრაში აბანოს მოსაწყობად, ოჩამჩირის სანაპიროს დასაცავად და სხვ.

აღფრთოვანებულნი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე ჩვენი დიადი სამშობლოს დიდი გამარჯვებებით, აღფრთოვანებულნი ჩვენი პარტიისა და მთავრობის ბრძნული პოლიტიკით და იმით, რომ იმ დროს, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აუცილებელი დაღუპვისაგან გამოსავალს ეძებს მსოფლიო ომში, ჩვენი სამშობლო მთელს მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც სალ კლდესავით არის აღმართული და აშენებს თავის ბედნიერ ცხოვრებას, ყოველდღე ამტკიცებს თავის თავდაცვისუნარიანობას, ჩვენი მძლავრი წითელი არმიისა და წითელი საზღვაო ფლოტის ძლიერებას, აფხაზეთის მშრომელები ქართველ ხალხთან ერთად დიდი საბჭოთა კავშირის ერთიან ოჯახში მოიპოვებენ ახალ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის მიღწევათა გასამრავლებლად, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სახელმწიფოს სსრ კავშირს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ლ. პ. ბერიას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ვ. მ. მაზიაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, შედგენილია მე-3 ხუთწლედის მესამე წლის სახალხო მეურნეობის სტალინური გეგმების შესაბამისად და მთლიანად გამომდინარეობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიული XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და იმ ამოცანებიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა** დაუსახა. სტალინური ხუთწლედების წარმატებით განხორციელების შედეგად საქართველოში შექმნილია მრეწველობის საკმაოდ განვითარებული დარგები: ქვანახშირის, მარგანეცის, სამთამადნო, მანქანათმშენებლობისა და სხვ. სრულიად შეიცვალა სოფლის მეურნეობის სახე და მისი მიმართულება. დღეს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ჩვენს ქვეყანას აძლევს ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ძვირფას პროდუქტებს. საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო გარდაქმნას თან მოჰყვა კულტურისა და ხელოვნების სწრაფი ზრდა. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საქართველოში შექმნილია მრავალი ახალი თეატრი, კინო, კლუბ-სამკითხველო და სხვ. სწრაფად გაიზარდა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი. საგრძნობლად გაიზარდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. ეს უდიდესი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის უდიდესი აღმავლობა საბჭოთა საქართველოში, ისე როგორც ჩვენი კავშირის სხვა რესპუბლიკებში, მიღწეულია საკავშირო კომუნისტური პარტიისა და ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით. ორდენოსანი საქართველოს სახალხო მეურნეობის აყვავებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდი **სტალინის** თანამებრძოლს, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, საბჭოთა კავშირის დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას,** რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას და რომელმაც საქართველოს ბოლშევიკებში დანერგა ხელმძღვანელობისა და მუშაობის სტალინური სტილი.

საქართველოს მძლავრ ეკონომიურ და კულტურულ ზრდაში უდიდესი როლი შეასრულა ბიუჯეტმა. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი კიდევ იზრდება 1939 წელთან შედარებით. საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის ასეთი ზრდა მოწმობს ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს, მოწმობს საქართველოს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ გაძლიერებას.



როგორც საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის, დეპუტატ ციმაკურიძის მოხსენებიდან დავინახეთ, საგრძნობი ზრდა არის რაიონების 1940 წლის ბიუჯეტშიც.

სიღნაღის რაიონში 1933 წელში რაიონის მთლიანი ბიუჯეტი უდრიდა 2.612 ათას მანეთს. 1939 წელში — 7.340,6 ათას მანეთს, ხოლო 1940 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 7.938,0 ათასი მანეთი. მაშასადამე, თუ შევადარებთ რაიონის 1933 წლის ბიუჯეტს 1939 წლის ბიუჯეტს, ამ 6 წლის მანძილზე ზრდა უდრის 281 პროცენტს, ხოლო 1940 წლის წარმოდგენილი ბიუჯეტისა უფრო მეტს.

1939 წელში სიღნაღის რაიონში განათლებისა და კულტურისათვის ბიუჯეტი ითვალისწინებდა 3.692,9 ათას მანეთს, რაც კიდეც დაიხარჯა ამ საქმეზე. ეს თანხა უდრის იმდენს, რასაც სიღნაღის რაიონში 1934 წლის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა. ამ საფუძველზე სიღნაღის რაიონი დღეს მოწინავე რაიონების რიგებშია. ამჟამად რაიონის დაწყებითს, საშუალო სკოლებში და ტექნიკუმებში 12.000-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს.

ბიუჯეტის ზრდამ სიღნაღის რაიონში საგრძნობლად გააუმჯობესა ჯანმრთელობის დაცვის საქმე. 1939 წლის ბიუჯეტით ამ ღონისძიებებზე 1.895,900 მანეთი დაიხარჯა. წინათ სიღნაღის რაიონის ყოფილ მაზრაში მარტო 2 კერძო აფთიაქი და რამდენიმე კერძო ექიმი იყო. ამჟამად რაიონის მშრომელ მოსახლეობას მომსახურებას უწევს 8 აფთიაქი, 15 საექიმო პუნქტი, 30 ექიმი, 2 პოლიკლინიკა, საავადმყოფო 145 საწოლით, სამშობიარო სახლი და სხვ. ეს წარმატებანი და მიღწევები უზრუნველყოფილი იყო ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდით და საბჭოთა ქვეყნის მშრომელი ხალხისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშობლიური მზრუნველობით.

ამხანაგო დეპუტატებო! რაიონში ამ წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლიც. მაგალითად, ჩამორჩება ქალაქ სიღნაღის კეთილმოწყობის საქმე. ქალაქისათვის წყალსადენის მშენებლობის დაპროექტება დაიწყო ჯერ კიდევ 1936 წელში. ამ პროექტებზე დახარჯულია 60.000 მანეთამდე, წყალსადენის მშენებლობის დაწყებას კი არა ეშველა რა. ქალაქ სიღნაღის მოსახლეობა წყლის დიდ ნაკლებობას განიცდის, ვინაიდან 30 წლის წინათ აშენებული ძველი წყალსადენი მოსახლეობის 50 პროცენტს ვერ აკმაყოფილებს, მე ვთხოვ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიას სიღნაღის რაიონის 1940 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო თანხის ნაწილი მაინც, რომ ქალაქ სიღნაღში დაწყებულ იქნას წყალსადენის მშენებლობა მიმდინარე წელში, ხოლო 1941 წლისათვის იგი მთლიანად იქნას დაფინანსებული. თვით ქალაქ სიღნაღში ელექტროსინათლის საკითხი და ქუჩების შეკეთება მოწესრიგებული არ არის საჭირო თანხების უქონლობის გამო. საჭიროა კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატმა მხედველობაში მიიღოს აღნიშნული მდგომარეობა და სიღნაღის რაიონს აღმოუჩინოს საჭირო დახმარება ამ მხრივ, ვინაიდან ის თანხები, რაც ყოველწლიურად გვეძლევა კეთილმოწყობის ობიექტებზე კაპიტალურ დაბანდებათათვის, აკმაყოფილებენ მხოლოდ კეთილმოწყობის არსებული ობიექტების დაცვას და მიმდინარე რემონტს, ახალ ღონისძიებათა გატარებისათვის კი არაფერი გვრჩება.

ამხანაგო დეპუტატებო! მე მხარს ვუჭერ იმას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მიერ მასში შეტანილი ცვლილებებით დამტკიცდეს.

1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ამ სესიაზე მტკიცდება, ეს არის საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ზრდის ბიუჯეტი, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის კიდევ უფრო განმტკიცების, ხალხის მასების კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ბიუჯეტი. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს ბიუჯეტი შესრულებული იქნება და უზრუნველყოფილი იქნება მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, დიდ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ გ. ვ. კირველიძის სიტყვა

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-3 სესიაზე განსახილველად წარმოდგენილია საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ, ნათლად ასახავს იმ ბრწყინვალე გამარჯვებებს, რომლებსაც ორდენოსანმა საქართველომ მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მთელი ძალით ცხადჰყოფს ბოლშევიკური პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მძლავრი საბჭოთა მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით და დიდი **სტალინის** მზრუნველობით ყოველწლიურად აღწევს ახალ-ახალ გამარჯვებებს სახალხო მეურნეობის შემდგომი აყვავებისა და ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის დარგში.

საქართველოს 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება მოწმობს, რომ პრაქტიკულად განხორციელებულია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი და დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** მითითებანი.

ყველა ამ წარმატებას ორდენოსანმა საქართველომ მიაღწია ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** დიდი დახმარებისა და ხელმძღვანელობის შედეგად, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია სოციალიზმის გამარჯვება საქართველოში.

საკოლმეურნეო ცხოვრება გახდა ძირითადი და საარსებო საკითხი ახალციხის რაიონის გლეხთათვის.

დღეისათვის რაიონში არ არის არცერთი ისეთი სოფელი, სადაც კოლმეურნეობა არ იყოს. 82 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 7.500-ზე მეტი გლეხური მეურნეობა და კოლექტივიზაციის პროცენტი აღწევს 95-ს.

სოციალისტურ საკოლმეურნეო მეურნეობას აქვს მანქანა-ტრაქტორების დიდი სადგური.

წლითი-წლობით იზრდება კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შემოსავალი. მაგალითად, 1937 წელს შემოსავალი შეადგენდა 1.882.547 მანეთს, 1938 წელს—3.729.631 მანეთს, ხოლო 1939 წელს—5.960.550 მანეთს.

კოლმეურნეობათა წარმატებითი მუშაობის შედეგად 1939 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობა მიიღო რაიონის 36 კოლმეურნეობამ და სოფლის მეურნეობის 75 მოწინავემ. 1-ლი და მე-2 ხარისხის დიპლომებით დაჯილდოებულია 5 კოლმეურნეობა.

1940 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა 33 კოლმეურნეობა და 181 მოწინავე კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში და განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ერთგული შვილი ამხანაგი **ლ. პ. ბერია**, ჩვენი რაიონის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს ყველა დარგში, კერძოდ განათლების დარგში.

ამას მკაფიოდ ადასტურებს შემდეგი ფაქტები: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთელ ახალციხის მაზრაში, რომელშიც შედიოდა ორი ახლანდელი რაიონი—ადიგენისა და ასპინძისა, იყო მხოლოდ 16 დაწყებითი სკოლა, რომლებშიც სწავლობდა 1292 მოსწავლე, უმთავრესად კულაკების, მემამულეების, ვაჭრების, სამღვდელოების და მეფის მოხელეების შვილები. სახალხო განათლებაზე ყოველწლიური საბიუჯეტო ასიგნობანი კი არ აღემატებოდა 13-14 ათას მანეთს.

ამჟამად მარტო ახალციხის რაიონში არის 91 სკოლა, აქედან დაწყებითი სკოლა 57, არასრული საშუალო —23 და საშუალო—11.

გარდა ამისა, რაიონში არსებობს პედაგოგიური სასწავლებელი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, სამედიცინო დების სკოლა, კოლმეურნე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სკოლა, ავტო-სატრაქტორო სკოლა, რომლებშიც სწავლობს 13 ათასამდე მოსწავლე.

წლითიწლობით იზრდება სახალხო განათლების ბიუჯეტი. ასე, მაგალითად, 1936 წელს სახალხო განათლების ბიუჯეტი შეადგენდა 1.673.000 მანეთს, 1937 წელს — 3.418.000 მანეთს, 1938 წელს — 4.120.000 მანეთს, 1939 წელს — 4.797.000 მანეთს, ხოლო 1940 წელს გათვალისწინებულია 5.888.000 მანეთი.

უკანასკნელ წლებში აშენდა ათამდე ახალი სასკოლო შენობა.

ასეთივე წარმატებები გვაქვს ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიც. მთელ ყოფილ ახალციხის მაზრაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშაობდა 2 ფერშალი, ახლა მარტო ახალციხის რაიონში მუშაობს 27 ექიმი და რამდენიმე ათეული დანარჩენი სამედიცინო პერსონალი.

წინათ იყო 6 სამკურნალო დაწესებულება, ამჟამად არსებობს 60 სამკურნალო დაწესებულება, მათ შორის: 2 ახალი საავადმყოფო 250 საწოლით, 6 საფერშლო პუნქტი, საკოლმეურნეო სამშობიარო სახლები, საბავშვო ბაგები, საბავშვო კონსულტაციები და სხვ.

შესაბამისად იზრდება ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტიც. ასე, მაგალითად, 1936 წელს ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი შეადგენდა 480.000 მანეთს, 1937 წელს— 839.000 მანეთს, 1938 წელს — 1.034.000 მანეთს, 1939 წელს — 1.417.000 მანეთს, ხოლო 1940 წელს —1.500.000 მანეთს, მაშინ როდესაც 1913 წელს ახალციხის მაზრის ჯანმრთელობის დაცვის ბიუჯეტი შეადგენდა მხოლოდ 1.100 მანეთს.

ასეთია მოკლედ, ამხანაგებო, ჩვენს რაიონში საბჭოთა ხელისუფლების შესანიშნავი მიღწევები.

ყველა ამ წარმატებებს ჩვენი რაიონის მშრომელებმა მიაღწიეს იმ უდიდესი დახმარების შედეგად, რომელსაც მათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ სახკომსაბჭო და განსაკუთრებით ამხანაგი **ლ. პ. ბერია** უწევდნენ.

ამხანაგო დეპუტატებო, ახალციხის რაიონის 1940 წლის დაპროექტებული ბიუჯეტი სავსებით უზრუნველჰყოფს ჩვენი რაიონის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას. მაგრამ ჩვენ ვთხოვთ მე-3 სესიას და საქართველოს სახკომსაბჭოს შეიტანონ რამდენიმე შესწორება ზოგიერთ მუხლში ასიგნობათა გადიდების მხრივ.

კომუნალური მეურნეობის დარგში მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ერთგვარი შემცირება გადიდების ნაცვლად.

როგორც ცნობილია, რაიონში კომუნალური მეურნეობის დარგში ყველაზე ვიწრო ადგილს წარმოადგენს ქალაქის ელექტრომომარაგება იმასთან დაკავშირებით, რომ არსებული სადგური სრულიად ვერ უზრუნველჰყოფს ქალაქის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ ამ მიზნით კაპიტალურ დაბანდებათა ზოგიერთი ნაწილის გადიდებას ლოკომოტივის დასადგმელად, რომლის ექსპლოატაცია იწარმოებს ადგილობრივი ქვანახშირით.

აგრეთვე ვთხოულობთ, რომ გათვალისწინებულ იქნას ქალაქ ახალციხეში ერთი საცხოვრებელი სახლის აშენება.

გარდა ამისა, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენს რაიონში სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დიდ ზრდასთან დაკავშირებით საჭიროა ამ საქმის უკეთესი და ყოველდღიური ხელმძღვანელობა ადგილებზე სათანადო განყოფილებების მიერ, მაგრამ ვინაიდან მიმდინარე წლის ბიუჯეტში, ისევე როგორც წინა წლებშიც, გათვალისწინებული არ არის სატრანსპორტო ხარჯები, ეს მეტად აფერხებს ადგილებზე პრაქტიკულ ხელმძღვანელობას განყოფილებების მხრივ. გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს მდგომარეობა და გაადიდოთ ასიგნობანი ტრანსპორტისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო, საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი წარმოადგენს სერიოზულ დოკუმენტს საქართველოს სსრ შემდგომი ეკონომიური და კულტურული აყვავების საქმეში და მისი როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის ბოლშევიკურად შესრულება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს.

მე წინადადება შემომაქვს დამტკიცებულ იქნას საქართველოს სსრ ბიუჯეტი. ამხანაგო დეპუტატებო, ჩვენი საბრძოლო ამოცანაა ვაწარმოოთ ყოველდღიური ბრძოლა სახელმწიფო სახსრების სწორი და ფრთხილი ხარჯვისათვის, ბიუჯეტის ყველა მუხლის შესრულებისათვის და ამით უზრუნველვყოთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა და მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება. **ლენინ-სტალინის** პარტიის და დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით ღირსეულად შევასრულებთ საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებას მესამე სტალინური ხუთწლედის წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულების შესახებ.

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ დროშას—დიდ **სტალინს! (ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს **ამხ. ლ. პ. ბერიას! (ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

დეპუტატ ღ. ა. რუხაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც განიხილა და მიიღო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ, წარმოადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი აღმავლობის დოკუმენტს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასახულია ის უდიდესი გამარჯვებანი, რომლებიც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის მშრომელებმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კომუნისტური პარტიის და ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობა, რომელიც შეიქმნა პირველი და მეორე ხუთწლედების მანძილზე, 1939 წლამდე თითქმის ყოველთვის მოვალე იყო სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე. 1939 წელს სოციალისტური დაგროვება საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით უდრიდა 15.528 ათას მანეთს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13.513 ათასი მანეთისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ჩვენი მთავრობის ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება საფეიქრო მრეწველობის მუშაკებს რაზმავდა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ასეთ პირობებში ჩვენ შევძელით 1939 წლის საწარმოო გეგმის შესრულება 105,2 პროცენტით. 1938 წელთან შედარებით 1939 წელს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატის ხაზით გამოშვებულ იქნა 25 პროცენტით მეტი პროდუქცია.

შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა 114,5 პროცენტით და ამავე დროს წინა წელთან შედარებით მან მოგვცა ზრდა 24,6 პროცენტით.

1940 წელს — მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წელს—საქართველოს საფეიქრო მრეწველობა გამოუშვებს უცვლელ ფასებში 74 მილიონი მანეთის პროდუქციას, რაც 1939 წელთან შედარებით იძლევა ზრდას 8,1 პროცენტით. დამზადდება 317,5 ტონა აბრეშუმის ძაფი, 1.875 ათასი მეტრი შალეული, 436 ტონა ბამბის ნართი, 2.656 ტონა ბამბა და 5 მილიონი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები.

ჩვენი მრეწველობის 1940 წლის საფინანსო გეგმა, რომელიც უკვე დამტკიცებულია საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ, ითვალისწინებს 23.450 ათასი მანეთის დაგროვებას, ე. ი. 8 მილიონი მანეთით მეტს გასულ წელთან შედარებით.

1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელსაც დღეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს მესამე სესია იხილავს, ითვალისწინებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატის სისტემაში შემავალი ქარხნების დაგროვებიდან ანარიცხების სახით 19 მილიონ მანეთ შემოსავალს და ბრუნვიდან გადასახადს 44 მილიონ მანეთს, სულ 63.281 ათას მანეთს.

ამრიგად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფა მოითხოვს გავაძლიეროთ ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის, მტკიცედ დავიცვათ საფინანსო დისციპლინა. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი მიღწევებისა ფინანსიური მეურნეობის დარგში, ჩვენ კიდევ ვერ შევძელით საფინანსო დისციპლინის დარღვევის ფაქტების საბოლოოდ აღმოფხვრა. ზოგიერთი ჩვენი ქარხნის ხელმძღვანელნი, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ იყვნენ გაფრთხილებულნი, მაინც უხეშად არღვევენ ცალკეულ შემთხვევებში საფინანსო დისციპლინას. 1940 წელს უნდა შევძლოთ მუშაობის ისე მოწყობა, რომ ადგილი არ ექნეს საფინანსო დისციპლინის დარღვევის არცერთ შემთხვევას.

მოკლედ შევჩერდები 1940 წლის განვლილი 5 თვის მანძილზე საფეიქრო მრეწველობის მუშაობის ძირითად მაჩვენებლებზე. გასულ იანვარ-მაისში გამომუშავების გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით, ე. ი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30.700 ათასი მანეთის პროდუქციისა, ფაქტიურად გამოშვებულ იქნა 30.800 ათასი მანეთისა, რაც 15,6 პროცენტით სჭარბობს 1939 წლის იანვარ-მაისში დამზადებულ პროდუქციას.

შრომის ნაყოფიერების გეგმა განვლილ 5 თვეში შესრულდა 104,6 პროცენტით, ხოლო გასულ წელთან შედარებით მისი ზრდა უდრის 25,2 პროცენტს.

როგორც 1939 წელს, ისე მიმდინარე წელს მუშაობის ძირითადი მაჩვენებლების გაუმჯობესებამ საშუალება მოგვცა დაგვეცვა პროდუქციის თვითღირებულების ის ოდენობა, რომელიც გეგმით იყო გათვალისწინებული. მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში ჩვენ გვაქვს შალის წარმოებაში 12 ტონა მატყლის ეკონომია, ხოლო აბრეშუმის ძაფსაღებ წარმოებაში მიღებული აბრეშუმის პარკის ეკონომია 6,5 ტონას უდრის.

პროდუქციის ხარისხის, განსაკუთრებით ასორტიმენტის ხაზით მიმდინარე წელს ჩვენ შევძელით მდგომარეობის რამდენადმე გაუმჯობესება, მაგრამ ჯერ კიდევ სავსებით ვერ ვასრულებთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის დადგენილებას და ამხ. ჩარკვიანის მითითებას პროდუქციის ხარისხის და ასორტიმენტის შესახებ. ჩვენ, საფეიქრო მრეწველობის მუშაკებმა, კიდევ უფრო მეტად უნდა ვიბრძოლოთ აღნიშნული ამოცანის უახლოეს დროში გადასაჭრელად.

ჩვენი საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულების, მუშა-ხელის ნაკლებობასთან ბრძოლის ერთერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს მრავალდაზგოსნობის დანერგვა და ფართოდ გაშლა. მრავალდაზგოსნობის განვითარებისათვის კი აუცილებელია ორი ძირითადი პირობა: მუშათა მაღალი კვალიფიკაცია, მანქანების, დაზგების და საწარმოო პროცესების სრული ათვისება, დაუფლება, მანქანებისა და მოწყობილობის, საწარმოო დანადგარების ზუსტი და მოუცდენელი მუშაობა.

ამჟამად საფეიქრო მრეწველობის 3.038 სტახანოველიდან 507 მრავალდაზგოსანი გვყავს, ე. ი. დაზგის მუშების 16,3 პროცენტი; ისინი 105-118 პროცენტით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. საფეიქრო მრეწველობის სტახანოველები დიდი რაოდენობით გამოჰყოფენ თავისი რიგებიდან წარჩინებულ მრავალდაზგოსნებს; მხოლოდ საჭიროა მათთვის სათანადო პირობების შექმნა. თითქმის გადამწყვეტი როლი მრავალდაზგოსნობის დანერგვისა და განვითარების საქმეში ეკუთვნის ტექნიკურ პერსონალს, ხოლო მათ შორის წამყვან როლს თამაშობენ ოსტატები და ქვეოსტატები.

1939 წლის საგაზაფხულო კვების პარკის დამზადების გეგმა 98 პროცენტით შესრულდა. საქართველოს მეაბრეშუმეობის ტრესტი არადამაკმაყოფილებლად აწარმოებს ბრძოლას პარკის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ცუდად აწარმოებს პარკის პირველადს დამუშავებას, გამოხმობასა და გამოხრჩოლვას, რის შედეგად მცირდება მაღალი ხარისხის ნედლი პარკის რაოდენობა. 1940 წელს აბრეშუმის ტრესტმა ვერ უზრუნველჰყო ყველა მეაბრეშუმისათვის აბრეშუმის თესლის დარიგება, სუსტად აწარმოებს აბრეშუმის პარკის აღების მოსამზადებელ მუშაობას, რაც საფრთხეში აყენებს აბრეშუმის მრეწველობის მიმდინარე წლის საწარმოო გეგმების შესრულებას. ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის აბრეშუმის ჭიის კვების საკითხი, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში, რაც უთუოდ გავლენას მოახდენს აბრეშუმის პარკის ხარისხზე. აბრეშუმის ჭიის კვების სტახანოვური მეთოდები ჯერ კიდევ სუსტად ტარდება ჩვენს მეაბრეშუმეობაში. ქისტაურელთა მეთოდი, რომელმაც გარდატეხა მოახდინა აბრეშუმის პარკის მოსავლიანობაში, შეამცირა პარკის მიღების დრო და უზრუნველჰყო პარკის მაღალი ხარისხი, ჯერ კიდევ სუსტად არის დანერგილი ჩვენი რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში. საჭიროა საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა უახლოეს დროში გარდაქმნას თავისი მუშაობა.

მიმდინარე წელს მთავრობის დადგენილებით ჩვენ გადმოგვეცა მრეწველობის სრულიად ახალი დარგი — რამის გადამუშავება. რამი—ეს ახალი ტექნიკური კულტურაა, რომლის გაშენება საქართველოში 1935 წლიდან დაიწყო. ამჟამად რამის პლანტაციები 1.478 ჰექტარს შეადგენს. რამი წარმოადგენს საფეიქრო მრეწველობის სრულიად ახალ ნედლეულს. რამის ნედლეულიდან ქსოვილების მიღება კარგ შედეგებს გვაძლევს და იმედია იგი საბოლოოდ ერთერთი საუკეთესო ნედლეული იქნება საფეიქრო მრეწველობისათვის. ამჟამად რამის კულტურას საგრძნობი ადგილი უჭირავს დასავლეთ საქართველოში, ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოშიც. ვინაიდან ამ კულტურის ნედლეულის გამოყენება კიდევ ცდების პერიოდშია, მისი სამრეწველო დამუშავებისათვის საკავშირო საფეიქრო მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ მიმდინარე წელს დაგეგმილია 7 მილიონი მანეთი დოტაცია. აუცილებლად საჭიროა რამის პლანტაციების გადიდება, რის საფუძველზეც უახლოეს წლებში გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩვენში რამის ნედლეულიდან ქსოვილების მიღება.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის მუშაკები, შეიარაღებულნი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, სტახანოვური მოძრაობისა და სოცშეჯიბრის ფართოდ გაშლით უზრუნველჰყოფენ 1940 წლის საწარმოო საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

გაუმარჯოს მშრომელთა დიდ ბელადს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე **სტალინს!** (ტაში).

ომი დასავლეთ ევროპაში

პარიზი, 7 ივნისი (საკდესი). გუშინ სალამოს პარიზში შემდეგი ოფიციალური ცნობა გამოქვეყნდა საომარი მოქმედების შესახებ: „დღის განმავლობაში მთელს ფრონტზე ზღვასა და შმენ-დე-დამის რაიონს შორის გააფთრებული ბრძოლა გრძელდებოდა.

ჩვენი ჯარის ზოგიერთ ნაწილს შემოუარეს, განსაკუთრებით ქვემო სომის რაიონში, სადაც გერმანელთა რაზმებმა მოახერხეს მდინარე ბრელამდე მისვლა. ელეტის რაიონში მოწინააღმდეგის რაზმებმა მიაღწიეს აგრეთვე მაღლობებს, რომლებიც გარს ერტყმიან მდინარე ენის ჩრდილოეთ ნაპირს. დღის ბოლოს ბრძოლა წინანდებური ძალითვე გრძელდებოდა. ჯარის მორალური მდგომარეობა ჩინებულია. ჩვენი ავიაცია განაგრძობდა გზებისა და ქარხნების ნგრევას რეინის ოლქში. 5 ივნისს დღის განმავლობაში ჩამოგდებულ იქნა გერმანელთა 36 თვითმფრინავი.“

პარიზი. 7 ივნისი (საკდესი). დღევანდელი დილის კომუნიკეში ნათქვამია, რომ „ღამის განმავლობაში შედარებითი სიწყნარის შემდეგ დღეს დილით ბრძოლა გუშინდელი დღის ვითარებაშივე განახლდა.“

პარიზი, 7 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პარიზის რაიონში საჰაერო განგაში გამოცხადდა, რაც გაგრძელდა 5 საათი და 20 წუთიდან 5 საათსა და 50 წუთამდე. საჰაერო განგაში გამოცხადდა აგრეთვე საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში და გაგრძელდა ღამის 23 საათიდან 2 საათსა და 6 წუთამდე. გერმანელთა თვითმფრინავების თავდასხმამ ნგრევა გამოიწვია.

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ, დღის ბოლოს ფრანგებმა ძლიერი კონტრიერიში მიიტანეს ელეტის სექტორში, სადაც გერმანელთა ჯარი წინ მიიწევდა.

დასავლეთის ფრონტზე

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სამხედრო მიმომხილველი გადმოგვცემს, დასავლეთის ფრონტის უკანასკნელი ბრძოლების ყველაზე დამახასიათებელი მხარე ის არის, რომ საფრანგეთის თავდაცვითი პოზიციები, რომლებიც სამ კვირაზე ნაკლებ ხანში გაკეთდა, სავსებით გამოსადეგი აღმოჩნდა მოწინააღმდეგის ჯავშანსატანკო ძალების შესაკავებლად, მეტწილ პუნქტებში. „მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს მიმომხილველი, — მეტად ნაადრევი იქნებოდა ოპტიმისტური დასკვნის გამოტანა, ვინაიდან გერმანელებს საკმაო ძალები მოეპოებათ იმისათვის, რომ მძლავრად დაარტყან და ჰყავთ ქვეითი ჯარის უდიდესი რეზერვები, რომლებიც შეიძლება ბრძოლაში გაიგზავნონ. მნიშვნელოვანია ვეიგანის რეზერვებიც და ისინი მზად არიან ყოველი მოულოდნელობისათვის. ფრანგებს დიდძალი ჯავშან-სატანკო დივიზია ჰყავთ.“

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა

პარიზი, 7 ივნისი (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გუშინ უცხოელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობები მზად არიან, ისე როგორც წინათ, განიხილონ ყველა ის საკითხი, რაც იტალიას აინტერესებს.

გაზეთ „ტანის“ რომაელი კორესპონდენტი იუწყება: „უკანასკნელ დღეებში საზღვარგარეთ არაერთხელ გაუვრცელებიათ ხმები, თითქოს იტალიას განზრახვა ჰქონდეს უკანასკნელ მომენტში იკისროს ზავის ინიციატივა იმ პირობით, რომ საომარი მოქმედება დაუყოვნებლივ შეწყდეს და მოკავშირეებმა მიიღონ გერმანიისა და იტალიის მოთხოვნები. მაგრამ ეს ცნობა სრულიადაც არ დადასტურებულა. იყო სხვადასხვა ცდა, რომ იტალიის მთავრობა წაექეზებინათ გამოეჩინა ზავის ინიციატივა, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო გამოდგა“.

რუმინეთის ეკონომიკის გადაყვანა საომარ რელსებზე

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ რუმინეთის მთავრობამ გადასწყვიტა გადაიყვანოს ქვეყნის ეკონომიკა საომარ რელსებზე. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა გამოაცხადა, რომ მას დავალებული აქვს დააწესოს კონტროლი ყველა იმ საგნის წარმოებაზე, რომლებიც საჭიროა როგორც არმიისათვის, ისე სამოქალაქო მოსახლეობისათვის. მოხმარების მთავარი საგნების გაცემა ნორმირებულ იქნება და მათთვის მტკიცე ფასები დაწესდება. გარდა ამისა, დაწესდება კონტროლი ნედლეულზე.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ მოითხოვს სამხედრო ბეგარის შემოღებას ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 7 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მოუწოდებს შემოღებულ იქნას საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო ბეგარა. „იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის თავდასხმა პარიზზე წარმატებით დამთავრდა, — აცხადებს გაზეთი, — შეიძლება მოხდეს ყველაზე ცუდი რამ—საფრანგეთი და ინგლისი განადგურდნენ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს არ მოხდება. მიუხედავად ამისა იძულებული ვართ აღვიაროთ, რომ ასეთი ვითარების შესაძლებლობა მეტად დიდია“. ამიტომ, განაგრძობს გაზეთი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გააძლიერონ თავდაცვა და შემოიღონ სამხედრო წვრთნა არა მარტო ახალგაზრდობისა, არამედ აგრეთვე უფროსი ასაკისაც. გარდა ამისა, მთავრობამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს სამხედრო საწარმოთა მფლობელების მიერ გადაჭარბებული მოგების მიღებას.

ასიგნობანი ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო შეიარაღებისათვის

ნიუ-იორკი, 7 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, კონგრესმა საბოლოოდ მოიწონა წინადადება, რათა საზღვაო სამინისტროს საჭიროებისათვის მომავალ საბიუჯეტო წელს (იწყება 1 ივლისიდან) ასიგნებულ იქნას 1.492 მილიონი დოლარი, გათვალისწინებულია 2.170 საზღვაო თვითმფრინავის შესყიდვა, 257 მილიონი დოლარი დაიხარჯება 2 სახაზო გემის, 1 ავიამზიდის, 2 კრეისერის, 8 საესკადრო ნაღმოსნის, 4 წყალქვეშა ნავისა და 3 დამხმარე გემის ასაგებად.

ამ თანხაში,—განაგრძობს სააგენტო, — არ შედის ეგრეთწოდებული „დამატებითი“ ასიგნობა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოითხოვა რუზველტმა. კონგრესი კვლავ განაგრძობს ამ ასიგნობის საკითხის განხილვას.

პრესის წარმომადგენელთან საუბარში ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა მარშალმა განაცხადა, რომ მან წინადადება წამოაყენა ამერიკის არმიის რიცხობრივი შემადგენლობა გადიდებულ იქნას 400 ათას კაცამდე, ამჟამად არსებული კანონით გათვალისწინებული 230 ათასი კაცის ნაცვლად.

საომარი სამზადისი თურქეთში

ანკარა, 7 ივნისი (საკდესი). მთავრობა ამზადებს ნაციონალური თავდაცვის ორგანოების სამსახურში ქალთა ჩაბმის კანონპროექტს. გათვალისწინებულია, რომ ქალები მუშაობაში ჩაბმულ იქნებიან ზურგში, სანიტარულ დაწესებულებებში, მომარაგების ორგანოებში და სხვ. კერძოდ, განზრახულია მოამზადონ სანიტარი-ქალების იმდენი რაოდენობა, რომელიც მთელი არმიის სანიტარულ საჭიროებას უზრუნველჰყოფდა.

ინგლისის საიდუმლო საბჭოს ახალ წევრთა დანიშვნა

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მეფემ მოიწონა, რომ საიდუმლო საბჭოს წევრებად დანიშნულ იქნან შემდეგი პირები: ნაოსნობის მინისტრი კროსი, ეკონომიური ომის მინისტრი დალტონი (ლეიბორისტი), თემთა პალატის ლეიბორისტული ფრაქციის ხელმძღვანელი ედვარდსი, თემთა პალატაში ლიბერალების ფრაქციის ხელმძღვანელი ჰარისი, ტრედუნიონების კონგრესის გენერალური მდივანი სიტრინი, ინგლისის მთავრობის მთავარი დიპლომატიური მრჩეველი ვანსიტარტი და პრემიერ-მინისტრის საპარლამენტო მდივანი ბრეკენი.

მოძრაობა ახალი პარტიის შესაქმნელად იაპონიაში

ტოკიო, 7 ივნისი (საკდესი). ამ ბოლო დროს იაპონიის პოლიტიკურ წრეებში გაძლიერდა კამპანია ყველა ამჟამად არსებული პარტიის ნაცვლად ერთიანი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად.

ამ კამპანიაში თვალსაჩინო როლს ასრულებს „ჩინეთში ომის დამთავრების ლიგა“. ეს ლიგა დაარსდა მიმდინარე წლის მარტში მინსეიტოელ საიტოსთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ. ამ ლიგის წევრთა უმრავლესობა ეკუთვნის კოკუმინ დომეის, ტოხოკაისა და სხვ. უკიდურეს რეაქციულ ორგანიზაციებს. ამჟამად ლიგა მოითხოვს ყველა პარტიის დაშლასა და ერთიანი პარტიის შექმნას.

როგორც დომეი ცუსინის სააგენტო და იაპონიის პრესა აღნიშნავს, ეს მოძრაობა, რომლის მიზანია ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნა კონოეს მეთაურობით, გამოწვეულია იაპონიის შინაური მდგომარეობით, რაც შეიქმნა ევროპის ომის შედეგად; ეს ომი ძლიერ გავლენას ახდენს იაპონიაზე.

დომეი ცუსინის სააგენტოს ცნობით, მიწისა და ტყის ყოფილი მინისტრი, კონოეს ახლო მეგობარი არიმა და კონოეს კაბინეტის ყოფილი მთავარი მდივანი კაძამი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა „სხვადასხვა კოოპერატიული ორგანიზაცია და გლეხთა გავლენიანი ორგანიზაციები შეუერთდნენ ახლად შესაქმნელ პარტიას“. როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, 3 ივნისს შესდგა „ჩინეთში ომის დამთავრების ლიგის“ სხდომა. ლიგამ მიიღო გადაწყვეტილება მხარი დაუჭიროს მოთხოვნას ყველა არსებული პოლიტიკური პარტიის დაშლის შესახებ ერთიანი პოლიტიკური პარტიის შექმნის ინტერესებისათვის. ამ მიზნით დაარსებულია სპეციალური მოსამზადებელი კომიტეტი. შემდეგ, როგორც სააგენტო აღნიშნავს, „ახალი პარტიის პრეზიდენტის პოსტს, ალბათ, დაიკავებს კონოე (საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე). პოლიტიკური მიმომხილველნი ჰფიქრობენ, რომ ერთიანი პარტია შეიქმნება ამ თვის დამლევს“.

მაგრამ ერთიანი პარტიის შექმნას აბრკოლებს შინაგან წინააღმდეგობათა არსებობა, როგორც პარტიებს შორის (განსაკუთრებით ლიდერებს შორის), ისე ამ პარტიების შიგნით. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა სწარმოებს მინსეიტოსა და სეიუკაის პარტიებს შორის.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში 31 მაისს იაპონელებმა გადალახეს მდინარე ხანი სიანიანსა და იჩენს შორის და დაიწყეს შეტევა სამი მიმართულებით: ჩრდილოეთით — სიანიანზე, დასავლეთით—ნანჯანზე და სამხრეთით — იჩენზე. 1 ივნისს იაპონელები შევიდნენ სიანიანში. ჯგუფმა, რომელიც დასავლეთის მიმართულებით უტევდა, წინ წაიწია 15-20 კილომეტრით. ჯგუფი, რომელიც იჩენის მიმართულებით უტევდა, შეჩერებულ იქნა ჩინელების მიერ. ჩინეთის ჯარმა, რომელიც 3 ივნისს კონტრშეტევაზე გადავიდა, დაიკავა ძაოიანი და სიანიანი.

სამხრეთ ჩინეთში

კანტონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩინელებმა განდევნეს იაპონელები ცუნხუას მახლობლად მდებარე მთელი რიგი პუნქტებიდან. ამავე სექტორში 5 ივნისს ჩინეთის ჯარმა შენკანის მიდამოებში დაიკავა ერთერთი პუნქტი.

ჩრდილოეთ ჩინეთში

შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ბრძოლა ცვალებადი წარმატებით ხდებოდა ძინჩენის, იანჩენისა და გაოპინის რაიონებში.

6 ივნისს იაპონიის თვითმფრინავთა ოთხი ჯგუფი თავს დაესხა სიჩუანის პროვინციას. ორმა ჯგუფმა ყუმბარები დაუშინა ლიანშანს, ხოლო ორმა სხვა ჯგუფმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარა ჩუნცინის მიდამოებში. თავდასხმაში სულ მონაწილეობდა 124 თვითმფრინავი.

7 ივნისი (საკდესი).

ჩარლზ დიკენსი

(გარდაცვალების 70 წლისთავისათვის).

დიკენსმა თავის შემოქმედებით ახალი ფურცელი ჩასწერა ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში. დიკენსი იყო ინგლისის ლიტერატურის პირველი და უდიდესი რეალისტი, XIX საუკუნის ყოფა-ცხოვრების მხატვარი; მან გაბედულად უარჰყო რომანტიკული ტრადიციები და მკაცრი სინამდვილისაკენ მიაბრუნა ლიტერატურა. გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა ფენების ადამიანთა ცხოვრება მან მძლავრი რეალიზმით, შეუდარებელი ოსტატობით დაგვიხატა თავის რომანებში, რომლებიც ყველა მკითხველზე ბავშვობიდანვე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. დიკენსის თხზულებებში თვალწინ გვიდგება ხმაურიანი ქალაქი მისი დუქნებით, თავშესაფრებით, სკოლებითა და საპყრობილეებით.



დიკენსმა თავის თავზე გამოსცადა სიღატაკისა და შეუბრალებელი ექსპლუატაციის საშინელება. და როცა მწერალმა თავისი ნიჭით გაიკაფა გზა ლიტერატურაში, ბრწყინვალე წარმატებას როდი დაუბრმავებია იგი. დიკენსს არ დავიწყნია ღარიბთა ტანჯვა, ბურჟუაზიული წესწყობილების საშინელი უსამართლობა, რომელიც ასახიჩრებს ადამიანს. დიკენსი არასოდეს არ ყოფილა გულგრილი მეთვალყურე, ის გულხმიერი, მგრძნობიერი ადამიანი იყო, რომელიც მტკივნეულად დასჭრა ბოროტებამ. თვალწინ უშლის რა მკითხველს ინგლისის ცხოვრების სურათებს, დიკენსი განზე როდი დგება—იგი თითქოს თავისი გმირების სამყაროში ცხოვრობს. მას სძულს ან უყვარს თავისი გმირი, როგორც ცოცხალი ადამიანი. უბრალო და პატიოსანი ადამიანების შესახებ ლაპარაკობს, როგორც თავის მეგობრებზე და სიყვარულით სავსე იუმორით აღნიშნავს მათი ხასიათის ახირებულ მხარეებს; ღვარძლითა და ზიზღით ამხილებს მტრებს—მკაცრ და ბიწიერ მტაცებლებს, პირმოთნეებს და ეგოისტებს. დიკენსის ეს მგზნებარება განსაკუთრებულ ხასიათს აძლევს მის ნაწარმოებს, შეაქვს მათში ლირიკული ნაკადი, გულითადობა და გულწრფელობა. დიკენსი ასამართლებს სინამდვილეს, როგორც უბედურთა დამცველი, როგორც ინგლისის გაბატონებულ კლასთა სოციალური უსამართლობისა და ბიწიერებათა მკაცრი და მრისხანე მამხილებელი.

მარქსი დიდად აფასებდა დიკენსის რეალიზმის შემეცნებითს მნიშვნელობასა და მამხილებელ ძალას: „ინგლისის თანამედროვე რომანისტთა ბრწყინვალე სკოლამ, რომლის თვალსაჩინო და მჭევრმეტყველურმა აწერილობამ მსოფლიოს აჩვენა უფრო მეტი პოლიტიკური და სოციალური ჭეშმარიტება, ვიდრე ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა, ყველამ ერთად აღებულმა, მან ასახა ბურჟუაზიის ყველა ფენა, დაწყებული „პატივცემულ“ რანტიესა და სახელმწიფო პროცენტიანი ქაღალდების პატრონით, რომელიც ზევიდან დაჰყურებს საქმის ყველა სახეს, როგორც რაღაც ვულგარულს, და გათავებული წვრილი მედუქნითა და ადვოკატის თანაშემწით. და როგორ დაგვიხატეს ისინი დიკენსმა, ტეკერეიმ, შარლოტა ბრონტემ და ქ-ნმა ჰასკელმა! ისინი დაგვიხატეს როგორც ხალხი, რომელიც დიდი წარმოდგენის არის თავის თავზე, რომელიც აღსავსეა გაბღენძილობით, წვრილმანი ტირანობითა და უვიცობით, და განათლებულმა ქვეყანამ დაადასტურა მათი განაჩენი, რაც ეპიგრამით სდაღავს ამ კლასს, რომელიც მლიქვნელობს ზემდგომების წინაშე და რომელიც დესპოტიურია ქვემდგომთა მიმართ“. („მარქსი და ენგელსი ხელოვნების შესახებ“, რუს. კრებული, 1938 წ. გვ. 320).

დიკენსის ნაწარმოებებში ასახულია გაუმაძღარი და საზიზღარი მტაცებლების, ეგოისტი, შუბლმაგარი ბურჟუების მთელი წყება. ასეთია მისტერ პექსნიფი რომანში „მარტინ ჩეზლვიტი“. ასეთივეა რომან „მძიმე დროში“ ასახული ცინიკური, უვიცი, აღვირახსნილი, ტრაბახა და აშკარად სულმდაბალი ფაბრიკანტი ბაუნდერბი. დიკენსის მგზნებარე სარკაზმი, რომელიც ამხელს ბაუნდერბს, აღსავსეა უძლაფრესი სიძულვილით.

უდიდესი სატირული ძალით გვიხატავს დიკენსი ბურჟუას, ვაჭრის, არისტოკრატის, მაღალი მოხელის გროტესკულ, კარიკატურულ სახეებს და შეუბრალებლად ჰგმობს ინგლისის მართველი კლასების ბიწიერებას. დიკენსი გვევლინება, როგორც მორალისტი და ქადაგებელი. აქედან გამომდინარეობს მისი რომანების მგზნებარე და სევდიანი პათოსი. სამყაროს იგი ჰყოფს იმდენად არა სოციალურ, რამდენადაც მორალურ კატეგორიებად. მისი გმირები გვევლინებიან ან როგორც ბოროტების მატარებელნი, ან როგორც კეთილის მატარებელნი. ბოროტების სამყაროს იგი უპირისპირებს კეთილის სამყაროს. ბოროტების მატარებლები, თითქმის როგორც წესი, არიან მდიდრები და მტაცებლები, რომლებიც მგელივით იბრძვიან გამდიდრებისათვის, ხოლო კეთილის მატარებელნი არიან წყნარი და პატიოსანი მშრომელები.

მაგრამ დიკენსი ამათრახებს ანგარებისა და მოხვეჭის სამყაროს არამარტო ტიპიურ წარმომადგენლებს, არამედ პოლიტიკურ, სახელმწიფო დაწესებულებებსაც, რომლებიც წარმოშობილია უსამართლო და მკაცრი საზოგადოების მიერ. ის მკაცრად ამხელს ინგლისის სკოლაში აღზრდის სისტემას, რომელიც ამახინჯებს ბავშვის სულსა და სხეულს, განსაკუთრებით კი ბავშვთა აღზრდას ღარიბთა სკოლებში, რომელნიც გადაქცეულია დასაღუპავად განწირული უბედური ბავშვების მორალურ წამებად. („ოლივერ ტვისტი“) უკვე თავის პირველ რომანში—„პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, რომელმაც მას მსოფლიო სახელი მოუხვეჭა, დიკენსი აგვიწერს (1836 წელი) სინამდვილის ბნელ მხარეებს. გულკეთილი, ახირებული ხალხის—პიკვიკისა და მისი მეგობრების მხიარულ და ხალისიან ნაამბობში სასაცილო თავგადასავალის შესახებ შემოიჭრება ხოლმე ისეთი ეპიზოდი, რომელიც არღვევს მის ოპტიმისტურ სულისკვეთებას. დიკენსი ამ რომანში მწარედ დასცინის ბურჟუაზიის საპარლამენტო არჩევნების მექანიზმს: დემაგოგია, მოსყიდვა, მოტყუება, პირდაპირი ძალადობა არის ჩვეულებრივი ხერხი ხმების მოპოვებისათვის ბრძოლაში. შემდეგ აგვიწერს სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა განაჩენი გაიძვერას სასარგებლოდ, რამაც გამოიწვია პატიოსანი პიკვიკის სავალო საპყრობილეში ჩამწყვდევა. 1853-1858 წლებში დაწერილი რომანებით—„ცივი სახლი“, „პაწია დორიტი“ და „მძიმე დროება“ დიკენსი უდიდესი ძალით ილაშქრებს სახელმწიფოებრივი სისტემის წინააღმდეგ. რომანში „ცივი სახლი“ დიკენსი მკაცრად აკრიტიკებს ინგლისის სასამართლო დაწესებულებებსა და ინგლისის წესწყობილებას. „პაწია დორიტში“ ავტორი ამხილებს პარლამენტსა და მთავრობას, რომლებიც უნიჭო, უსულგულო და უვიც ადამიანთა კასტის ხელში იმყოფება. დიკენსი ჰქმნის ამ რომანში, ინგლისის ბიუროკრატიის ბოროტ სიმბოლოს — „წვრილმან ადამიანთა სამინისტროს“, რომლებიც მოქმედებდნენ პრინციპით, „როგორ არ უნდა გავაკეთოთ ეს“. ლორდებისა და ბანკირების სამყაროს ემატება მარშალსის სავალო საპყრობილე, რომელიც ამთავრებს ადამიანთა გარყვნისა და გაპარტახების საქმეს.

დიკენსის რომანი „მძიმე დროება“ განსაკუთრებით სოციალურად გამახვილებული და ამავე დროს პესიმისტურია. ამ რომანში პირდაპირ არის დასმული კლასთა ანტაგონიზმის საკითხი. დიკენსის ეპოქა ხასიათდება კაპიტალიზმის სწრაფი ზრდით, კლასობრივი ანტაგონიზმის გამწვავებით და მუშათა მოძრაობის აღმავლობით. დიკენსი თავის რომანში ასახავს მასობრივ მუშათა მოძრაობის — ჩარტიზმის ცალკეულ მომენტებს, ის ლაპარაკობს მუშათა საშინელი გაჭირვების შესახებ, იმ მუშების შესახებ, რომლებსაც უარესად ეპყრობიან, ვიდრე მანქანებს, ლაპარაკობს პროლეტარების მზარდ მრისხანებაზე, იმ პროლეტარებისა, რომელთაც დამცინავი სიმკაცრით სჩაგრავენ ბაუნდერბი და მსგავსნი მათნი.

დიკენსი არ იყო რევოლუციონერი, მას რეფორმების იმედი ჰქონდა, იმედოვნებდა, რომ შეიძლება შერიგებულ იქნას წინააღმდეგობანი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რომ გადალახულ და განკურნებულ იქნას მისი ბოროტებანი თვით ბურჟუაზიული წესწყობილების შიგნით, წესწყობილების დაუნგრევლად, რევოლუციის გარეშე. ის თავის იმედებს ამყარებდა მორალურ ქადაგებაზე, კეთილის გამარჯვებასა და ბოროტების დათრგუნვაზე. მაგრამ სინამდვილემ მკაცრად დაამსხვრია მისი ილუზიები და სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სულ უფროდაუფრო შესამჩნევი ხდება სევდისა და დაღლილობის მოტივები მწერლის შემოქმედებაში. მან ვერ ჰპოვა გამოსავალი ბურჟუაზიული წინააღმდეგობებიდან და ნაცვლად მოქმედი ჰუმანიზმისა, იგი მოითხოვს ბუნდოვან ფილანტროპიას და გულკეთილობის ქადაგებას.

სამყაროს მორალური ქადაგების გზით შეცვლის უტოპიურ ოცნებებში როდია დიკენსის ძალა, არამედ მის ნაწარმოებთა ადამიანურობასა და რეალიზმში. მის შემოქმედებაში ძვირფასია მღელვარება, ნაღვლიანი პათოსი და ლირიკული ჰუმორი, მისი ოპტიმისტური რწმენა ადამიანისადმი, ჰუმანური სიყვარული სიცოცხლესა და ადამიანისადმი, რომლის გულისთვის იგი აღშფოთებული იყო უაზრო და უსამართლო ბურჟუაზიული წესწყობილების მიერ ადამიანის დამახინჯების წინააღმდეგ.

მ. ზაბლუდოვსკი.

ტყიბულის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა

(ტყიბული, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის რაიონმა 112 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის დავალება. მოკრეფილია 160,4 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად 143 ტონისა.

ჩაის კრეფის მაისის დავალება 20-25 მაისამდე შეასრულეს: გელათის ენგელსის სახელობის, ცუცხვათის ბერიას სახელობის და წყალწითელის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებმა. ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ოსტატებმა: ო. ჯინჯარაძემ, გ. ყორღოლაძემ, ა. გოჩელაშვილმა და სხვებმა მაისის ჩაის კრეფის გეგმები სამმაგად და კიდევ უფრო მეტად შეასრულეს.

დ. საგელაშვილი

ბიტუმის ქარხანამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის პროგრამა

მახარაძე, 8 ივნისი (საქდესი). ნატანების ბიტუმის ქარხნის კოლექტივი საწარმოო გამარჯვებით შეხვდა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნას—ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის პროგრამა. 7 ივნისისათვის ქარხანამ გამოუშვა 306.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ბიტუმი, რაც ექვსი თვის გეგმის 102 პროცენტს შეადგენს.

ქარხნის სახარში საამქრო, რომელსაც ამხ. კ. კოტოვი ხელმძღვანელობს, სისტემატურად 250-300 პროცენტით ასრულებს ნორმას. მუშაობის საუცხოო ნიმუშებს გვიჩვენებენ სტახანოველები ამხ. ი. ბერიძე, ს. კუკულავა, ი. მიტროფანოვი და სხვ.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ივნისში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 10.000 კილოგრამი მაღალხარისხოვანი ბიტუმი.

მწერალთა კავშირში

9 ივნისს, საღამოს 8 ს. 30 წ., მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება სომეხი დრამატურგის ანუშავან ვარდანიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავისა და მისი დაბადებიდან 60 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საზეიმო სხდომას გახსნის პოეტი სანდრო ეული. მოხსენებას ანუშავან ვარდანიანის ცხოვრებასა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ გააკეთებს მწერალი კორიუნ აზროიანი.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ ორდენოსანი პოეტი ნაირი ზარიანი, მწერლები—ბესო ჟღენტი, არტ. კარინიანი, მადატ პეტროსიანი, წ. თორგომიანი, გ. გრიგი და სხვ.

შესვლა თავისუფალია.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

10 ივნისს, საღამოს 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. ს. ქუთათელაძის ლექცია რუსულ ენაზე: „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

პარტკალენდარი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ ა. წ. 9 ივნისს, დღის სრულ 4 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში შესდგება ერთეულ კომუნისტთა კრება.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: **სახოპერა** — „პიკის ქალი“ (4 აბ. 15 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — „ყაჩაღები“, **მოზარდ მაყურებელთა** — „პატარა კახი“ (პრემიერა), **საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი** — ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის ქეთო ჯაფარიძის საღამო-კონცერტი, **ღია ესტრადა** — ესტრადის მსახიობთა საღამო-კონცერტი.

კინოებში: **რუსთაველის სახ.** — „მანერჰაიმის ხაზი“, **ოქტომბერი** — „მანერჰაიმის ხაზი“, **დამკვრელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო“, **ლუქსემბურგის სახ.** — „დაგვიანებული სასიძო“, **26 კომ. სახ.** (ზაფხულის) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **26 კომ. სახ.** (ზამთრის) — „კენდლილიარ“, **კომინტერნი** — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „ალმასების ხეობა“, **ახალი ამბები** — რედაქციის დღე და ჟურნალი № 47.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

უკანასკნელი ცნობები

ომი დასავლეთ ევროპაში

მოკავშირეთა ცნობები

პარიზი, ოფიციალურად იუწყებიან, რომ გუშინ „ზღვასა და შმენ-დე-დამს შორის მთელი დღის განმავლობაში შეუნელებლად გრძელდებოდა ბრძოლა. ჩვენი ჯარი წინააღმდეგობას უწევს მტერს, რომელიც ზარალს არ მოერიდა და ბრძოლაში გამოიყვანა კვლავ დიდი ჯარი. წინწაწეულმა ჩვენმა რაზმებმა, შეასრულეს რა მტრის ტანკებისა და ქვეითი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, მთელ ფრონტზე უკან დაიხიეს ბრძანების შესაბამისად. დასავლეთში მდინარე ბრელის ზემოწელის რაიონში გერმანელების ჯავშანსატანკო ნაწილები აქა-იქ შემოიჭრნენ ჩვენს პოზიციებში. მაგრამ მათ ვერ შესძლეს დასაყრდენი პუნქტების დანგრევა, რომლებიც წინააღმდეგობას განაგრძობენ. მდინარე ენზე მტერმა მოახდინა სასტიკი ბომბარდირება. გერმანელები ცდილობდნენ მდინარის გადალახვას სუასონის აღმოსავლეთით. მტრის ის ნაწილები, რომლებიც მდინარის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდნენ, განადგურებულია. ჩვენი ავიაცია განაგრძობდა მტრის ჯარის ბომბარდირებასა და დაშენას. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ასზე მეტი ტონა ყუმბარა დააყარა მტრის ტანკებს, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებს. ჩვენი ავიაგამანადგურებლები კვლავ განუწყვეტლივ მოქმედებდნენ, ანადგურებდნენ მტრის თვითმფრინავებს და უზრუნველჰყოფდნენ ჩვენი თვითმფრინავების დაცვას. უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში ჩამოგდებულია მტრის 21 თვითმფრინავი.

ლონდონი, როგორც „ტაიმსი“ იუწყება, „გერმანიის ჯავშანსატანკო დივიზიების შეტევაში მოულოდნელობის ელემენტი აღარ არის. უკანასკნელი ბრძოლის დროს გერმანიის მრავალი ტანკი ღრმად შეიჭრა საფრანგეთის ხაზებს იქით. მაგრამ რადგან ეს ტანკები მოწყვეტილი არიან თავიანთ მთავარ ძალებს და საწვავი მასალის მიღების საშუალება არა აქვთ, მათ სისტემატურად ანადგურებენ საფრანგეთის შეიარაღებული ძალები“.

გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, რომ „ვეიგანის ხაზის“ მთელ რიგ რაიონებში გახლაგებულია შენიღბული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები. ერთერთ სოფელში ამ ქვემეხებით მოსპობილია გერმანიის 8 ტანკი და 12 საბარგო ავტომობილი. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მტრის ტანკებთან ბრძოლაში დიდ აქტივობას იჩენს არტილერია, რომელსაც აქვს 75-მილიმეტრიანი ფრანგული ქვემეხები და რომლებიც დადგმულია მეწინავე ხაზებზე.

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი. იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის ავიაგამანადგურებლები იძულებული არიან იბრძოლონ გერმანიის ავიაციის წინააღმდეგ, რომელიც მათ სჯობნის რაოდენობითა და ხარისხით. როგორც სააგენტო აცხადებს, საფრანგეთმა შემოდგომამდე აუცილებლად უნდა მიიღოს სულ ცოტა 4 ათასი ახალი და საუკეთესო ხარისხის თვითმფრინავი. 10 მაისიდან საფრანგეთის ავიაციის წინააღმდეგ წარმოებულ საჰაერო ბრძოლაში მონაწილეობენ გერმანიის ახალი თვითმფრინავები „მესერშმიდტი“, რომლებიც საფრანგეთის „კერტისის“ სისტემის ავიაგამანადგურებლებზე უფრო სწრაფმავალნი არიან. გერმანიის თვითმფრინავებს უკეთესი ჯავშანი აქვთ და უფრო მეტი რაოდენობის ტყვიამფრქვევებით არიან შეიარაღებულნი, ვიდრე ძველი ტიპის „კერტისის“ თვითმფრინავები. ეს აძნელებს გერმანიის ავიაციის თავდასხმათა უკუგდებას.

შეტაკება იტალია-ინგლისის საზღვარზე აფრიკაში

ნიუ-იორკი, 8 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ავტორიტეტული ცნობებით, აბისინიისა და კენიის საზღვარზე მცირე ინციდენტები ხდება ინგლისელ და იტალიელ მესაზღვრეთა შორის. ორივე მხარე ამ საზღვარზე თავს უყრის დიდ ძალებს. სააგენტოს ცნობით, აბისინიის ყოფილი ნეგუსი ინგლისიდან მალულად ჩასულა სუდანში, სადაც სათავეში ჩასდგომია 8-ათასიან არმიას.

გერმანიის ცნობები

ბერლინი. გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგი ცნობა:

„გერმანიის ჯარი წარმატებით განაგრძობს ოპერაციებს სომისა და ენ-უაზის არხის სამხრეთით. მტერი უკუგდებულია აგრეთვე ქვემო სომის სამხრეთით. გერმანიის ავიაცია თავისი მოქმედებით ძლიერ დახმარებას უწევდა სახმელეთო ჯარის ოპერაციებს სომის სამხრეთით, ყუმბარებს უშენდა ჯარის შეჯგუფებებს, სალაშქრო კოლონებს ქვეითი ჯარისა და არტილერიის პოზიციებს. დიუნკერკის რაიონში დატყვევებულთა რიცხვმა 88 ათასამდე მიაღწია. ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ სანაპიროსთან საზვერავი ფრენის დროს გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის ზოგიერთ აეროდრომს და აგრეთვე დუვრის ნავსადგურს.

ნარვიკის რაიონში გერმანიის ავიაცია ხელს უწყობდა გერმანიის ჯარის ნაწილების მოქმედებას და იერიში მიჰქონდა მტრის პოზიციებზე. ტანკების ერთ სადგომს ხანძარი გაუჩნდა. მტრის ერთი კრეისერი მძიმედ დაზიანდა ორი ყუმბარის მოხვედრის გამო. გერმანიის წყალქვეშა ნავმა ირლანდიის ჩრდილო-დასავლეთით ჩაძირა მტრის დამხმარე კრეისერი 14 ათასი ტონა წყალწყვისა.

მტრის ავიაციის ღამის თავდასხმამ გერმანიის ტერიტორიაზე ძირითადად უმნიშვნელო ზიანი გამოიწვია. ერთერთ ქალაქში ყუმბარები ჩამოვარდა დასახლებულ უბანში. მოკლულია სამოქალაქო მოსახლეობის 10 კაცი.

მტრის საერთო დანაკარგი ჰაერში გუშინდელი დღის განმავლობაში შეადგენს 71 თვითმფრინავს. გერმანიის 5 თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

8 ივნისი (საკდესი).

ბრძოლა კატეგატში

რომი, 8 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის სამ სახაზო გემს, რომლებიც ცდილობდნენ კატეგატის დანაღმულ ზონაში შეჭრას, სასტიკი ბრძოლა გაუმართა გერმანიის მრავალმა ყუმბარმშენმა და მალე ჩრდილოეთისაკენ გააქცია.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.
10, 11 ივნისს პრემიერა
ნ. მიქავა და გ. აბაშიძე
ბედნიერება
დრამა 3 მოქმ.
დადგმა პ. კობახიძისა (რესპ. დამს. არტ.), მხატვარი—მ. აბუანდაძე,
მუსიკა—ა. ბუკიაძე. დასაწყისი სად. 8 ს. 30 წ.

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრი
9—10—11 ივნისს პრემიერა
აკ. წერეთლის
პატარა კახი
5 მოქმ.
დადგმა—რესპ. დამსახ. არტ.—ალ. თაყაიშვილის,
მხატვარი—დ. თავაძე. მუსიკა—ვ. შავერზაშვილის
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილის 12 საათიდან 2 საათამდე
და საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

სიჭინავა, კაკაურიძე, კომახიძე, ყიფიანი, თამარაშვილი, შარაშენიძე, რუხილაძე, მაკალათია, ჩიტაევი, ქურიძე, ჰელიძე, ანანიაშვილი, ჩოხელი, ასხაბაძე იუწყებიან
კოლია ჩერნიშევის
გარდაცვალებას. 6712

მშობლები ზეინაბ, გრიგოლ ცეცხლაძეები მარგალიტათი იუწყებიან
პატარა რუსუდანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/VI
5½ ს. ენგელსის, 64. 6713

სამტრედიის ბერიას სახელობის ტექნიკუმის ადმინისტრაცია, პედპერსონალი და სტუდენტები იუწყებიან ამავე ტექნიკუმის პედაგოგის
ვარლამ ალექსის-ძე ფაშაკიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/VI
ს. დიდჯიხაიშში. 6698

ფაცურა კორძაია, მიტო, ვალია საბაშვილი იუწყებიან ლენა ჩითაშვილის და ვახტანგ გომელაურის დედისა და სიდედრის
ოლია მიხეილის-ასულ ჩითაშვილის
გარდაცვალებას. 6708

მეუღლე მერი, შვილები ლიანა, ლეილა იუწყებიან
იონა ბაგრატის-ძე კობახიძის
გარდაცვალებას. 6705

კუჭაიძე, მჭეიძე, კოჩიაშვილი, ტუსკია, დაშნიანი, მიროტაძე, გვარამია, ხომერიკი, მდივანი, ბილისეიშვილი იუწყებიან ექ. სოკრატ არშბას მეუღლის
ანგელინა არშბას
გარდაცვალებას. 6709

მამა მათე, და ეპრაქსი, ძმები აპოლონ, ანატოლი, რძლები და ძმისწულები იუწყებიან
მილიცა (მერი) მათეს-ასულ ლეჟავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI
დიდ-ჯიხაიშში. 6710

ს. ეული, ს. გაჩეჩილაძე, ს. ფაშალიშვილი, ს. ციციშვილი, ქს. ხაფავა, გ. ივანიშვილი, დ. ნაცვლიშვილი, გ. ისაევი, მ. კუხალაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გრ. ცეცხლაძეს მისი ბავშვის
პატარა რუსუდანის
გარდაცვალების გამო.

კაიტანჯიანი, ბერიკაციშვილი, კვინტრაძე, ნაზარეტიანი, მხატვარი, გოგოლაშვილი, ხიდარეიშვილი, ჯაბადარი, დალაქიანი, ახალკაცი, ყიფიძე, ბეკურაშვილი, ედიშერაშვილი იუწყებიან გიორგი ღლონტის დედის
პელაგია ღლონტის
გარდაცვალებას.

მშობლები გრიშა და ანეტა, ძმა რეზო გუმბარიძეები იუწყებიან პატარა
ჯემიკოს
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/VI
5 ს. ძნელაძის ქ. № 26.

და მარიამ სულთანიშვილი ქმარშვილით, რძალი სოფიო მამისაშვილი, დისწული ალექსანდრე სეფაშვილი ცოლშვილით იუწყებიან
ოლღა მახარობლის-ასულ ჩითაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 9/VI
6 ს. პლეხანოვის, 34. 6700

ძმა ლაზარე, რძალი ალექსანდრა, ძმისწულები თამარ ქმრით, შიო ოჯახით, კუკურა, ოთარ, ელიკო, ზინიკო იუწყებიან
ისიდორე ოქროპირის-ძე დარსაველიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/VI
ს. დიდჯიხაიშში. 6701

ქმარი სიმონ, შვილი კოლია, რძალი ნამფილა, შვილიშვილები კუკური, ოთარ, სპირიდონ, გაზრდილი ეფემია ქმრით იუწყებიან
ანეტა ქუთათელაძე-გეგეჭკორის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 12/VI
5 ს. ქუთაისში, არხის, 7. 6702

გეგენავა, ბახია, ხატიაშვილი, ფასეიშვილი, იმნაძე, მაისურაძე, ნადარეიშვილი, ხატიაშვილი, ქაჯაია, კლდიაშვილი, ცომაია, ვადაჭკორია, ტაბიძე, იუწყებიან ხუცას დის
კატუშა ახვლედიანი-თაციარის
გარდაცვალებას. 6703

მეუღლე სოკრატ არშბა, შვილი პატარა მამული იუწყებიან
ანგელინა (კიკუ) ან[illegible]-ასულ არშბას
გარდაცვალებას. 6704

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი. ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—88, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—78—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული № 1306